წელიწადი მესამე — ფასი 10 კაპ. — კვირა, 1917 წ. მაისის 28 (10)

საქართველო

ხელის მოწერა და ბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის მისამართი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ ред акц. „Сакартвело“, почт. ящикъ № 76
ტელეფონი 15—73

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ლირს 50 კ., ბოლოს-კნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ლირს 6 მ.; 20×2 ლირს 8 მ., 25×2 ლირს 10 მ. 3 საათისშემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი.
თვეურად გაზეთი ლირს 2 მანეთი.

№ 113 — ყოველდღიური გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა — № 113

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პირველი და დამფუძნებელი ყრილობა

ივნისის 4, თბილისში მოწვეულ იქნება პირველი და დამფუძნებელი კრება ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისა.

ყრილობის წეს-რიგი.

I. საპროგრამო საკითხები:

ა. საქართველოს ავტონომია.
ბ. საქართველოს ტერიტორია.
გ. საქართველოს ფინანსები.
დ. საგარეო საკითხი საქართველოში.
ე. ავტოკეფალია და სარწმუნოებათა საკითხები საქართველოში.

II. სატაქტიკო საკითხები:

ვ. პოლიტიკური მომენტი: რევოლუცია, ომი და ზავი, ახალი მთავრობა, დამფუძნებელი კრება.
ზ. საქართველოს მოსაზღვრე ერები და ოსმალეთის საქართველოს საკითხი.
Თ. საქართველოს პოლიტიკო პარტიები და ეროვნული საბჭოს მოწყობა.

III. საორგანიზაციო საკითხები:

თ. მოხსენება მთავარ კომიტეტისა.
ი. მოხსენებანი ადგილობრივი კომიტეტებისა.
კ. პარტიული პრესა.
ლ. არჩევნები.

ყრილობაზედ გასაგზავნი წარმომადგენელნი უნდა აირჩეს პარტიის ადგილობრივ წევრთა საერთო კრებებზედ, ყოველ ას წევრზედ თითო, სადაც ას წევრზედ ნაკლებია, იქ ერთი წარმომადგენელი უნდა აირჩეს.

თუ პარტიის წევრთა საერთო კრების მოწვევა შეუძლებელი იქნება, წარმომადგენელს ადგილობრივი კომიტეტი აირჩევს.

საქ. ერ.-დემ. პარტიის მთავარი კომიტეტი.

12—708—7

საქალაქო არჩევნებისათვის განცხადება

თბილისის ქალაქის საბჭო და საარჩევნო კომიტეტი ქ. თბილისისა, ამით აცხადებს, რომ არჩევნებში მონაწილეობის უფლებიანთა აღწერა ამა წლის მაისის 28-დგან დაიწყება და სამს დღეს გასტანს.

რათა არჩევნები საერთო იყვეს და ყოველ მოქალაქეს შეძლება მიეცეს არჩევნებში მონაწილეობისა, ამიტომ საჭიროა ამ სამი დღის განმავლობაში მოქალაქენი შეძლების და გვარად სახლში დარჩნენ, ან და დასტოვონ სახლში ოჯახის წევრი, რომელსაც შეეძლება ოჯახის წევრებზე სწორე ცნობების მიცემა. სასურველია აგრეთვე, რომ სახლში არ მყოფმა მოქალაქემ დასტოვოს პატარა ბარათი, რომელშიაც თვითვე აღნიშნავს თავის შესახებ ცნობებს, დასტოვოს ბაშფორთი ან სხვა რამ არჩევნებში მონაწილეობის უფლების მოწმობა.

თბილისის ქალაქის საბჭო.

2—771—2 — საარჩევნო კომიტეტი ქ. თბილისისა.

სახაზინო წინანდელი ხელმწიფო თეატრი

ორშაბათს, 29 მაისს, მსახიობი ქალი ელო ანდრონიკაშვილი გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ ხელზედ

ᲨᲐᲚᲕᲐ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲞᲘᲔᲡᲐ

ᲛᲔᲓᲕᲘᲛᲔᲤᲘ.

ფანტასტიური სანახაობა სამს ნაწილად.

პიესა დაწერილია 1905 წ. და შიგ გამოხატულია ფანტასტიურ სამეფოს ძველი მთავრობის დამხობა.

როლებს შეასრულებენ: ქ-ბ. ამირეჯიბი ცაცა, დავითაშვილი ნ., ქილარჯიშვილი მ. ბ. ბ. ბარველი, გამყრელიძე, გვარაძე, იმედაშვილი, კორიშელი, ბატარაძე, მგალობლიშვილი, შალიკაშვილი.

ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲨᲘ ᲣᲠᲩᲔᲕᲘᲐᲜ: ანდრონიკაშვილი თამარ, კალატოზიშვილი მაყვალა, მაისურაძე ნინო, ციციშვილი ტასო. აგრეთვე წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს ქნარზე დამკვრელი ქალი ძ-ნ. **რ ო ხ ტ ე ნ ი.**

პიესა დაიდგმება თვით **ავტორის** რეჟისორობით. სამხატვრო მორთულობას ხელმძღვანელობს **გიორგი ერისთავი.**

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე. ◆ ბილეთები ისყიდება სახელმწიფო თეატრის კასაში და ძმურ ნუგეშში. 3—706—3

ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲝᲑᲘᲡᲐ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲑᲡ:

1) ქართველთა ამხანაგობის წევრებმა 1 აგვისტომდე უნდა გამოუგზავნონ ადმინისტრაციას თავიანთი მისამართი (ფოსტისა) და აღნიშნონ რიცხვი და №№ თავიანთ პაუბისა

2) გარდაცვლილ წევრთა მემკვიდრეთ 1 მუხლში აღნიშნულ ცნობების გარდა 1 აგვისტომდე უნდა გამოგზავნონ პირი მემკვიდრეობის უფლებისა.

3) ამხანაგობის მოვალე წევრთა მიერ შემოტანილი პაის ფული ჩაირიცხება ვალში.

ცნობები უნდა გამოიგზავნოს: თბილისი, სასახლის ქუჩა, სამეურნეო ბანკი, სოფრომ ტარიელაშვილს, ამხანაგობის ადმინისტრაციის წევრს.

3—661—3

ᲦᲐᲠᲘᲑ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲗᲐ ᲨᲔᲛᲬᲔ

თბ. გუბერნიის თავ.-აზნაურთა საზოგადოების წევრთა

ᲧᲚᲘᲣᲠᲘ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ

დანიშნულია კვირას, 28 მაისს საღ. 7 საათზე
დეკუტატთა საკრებულოში.

კრების საგანი: არჩევნები გამგე კომიტეტის თავმჯდომარის, მისი ამხანაგის და წევრებისა. 2—709—2

მეუღლე ეკატერინე იოსების ასული, შვილები: დავით, გრიგოლ, ალექსანდრე და მიხეილ ივანეს ძენი, ვარდანეში, აშხენა და სონა ივანეს ასულნი ბეგალოვები და რძალი სონა ზაქარიას ასული აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ

ᲘᲕᲐᲜᲔ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ᲫᲘᲡ
ᲑᲔᲒᲐᲚᲝᲕᲘᲡ

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება დ. საჩხერეში კვირას, მაისის 28, დილის 10 საათზე. 1—664—1

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის
მე-X და მე-XII უბნების კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ვინაიდან 25 ამა თვეს დანიშნული კრება ხსენებულ უბნებში მცხოვრებ წევრთა არ შესდგა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო—ამიტომ შემდეგი სხდომა დანიშნულია კვირას, 28 მაისს, დღის 12 საათზე ახალ საკრებულოში (ყოფილი ხარფუხის კლუბი) მიხეილის პროსპ. № 129.

კრების საგანია:

დელეგატების არჩევა პარტიის კონფერენციისათვის
და მოკრიბი საკითხები.

1—711—1

თბილისი, მაისის 28.

საქალაქო არჩევნები

სულ მოკლე ხანში თბილისის ხმოსნების არჩევნები შესდგება. თბილისის თვითმართველობაში ქართველების მდგომარეობა ყველასათვის ცნობილია. დიდი ხანია ქართული ელემენტი ჩვენი დედა-ქალაქის მართვა-გამგეობიდან სრულებით გამოძევებული იყო. სომხის ბურჟუაზია, ეგრედ წოდებული სოლოლაკელთა პარტია იყო მისი ბატონ-პატრონი. არა მარტო ეროვნული თავმოყვარეობა გვქონდა შელახული. თბილისის ქართველ მოქალაქეთა ნამდვილი ინტერესებიც მუდამ აბუჩად იყო აგდებული. ასეთს მდგომარეობაში არც ჩვენ ვიყავით მარტონი, არც რუსები და არც თათრები არ იყვნენ სათანადოთ წარმოდგენილი თბილისის ქალაქის თვითმართველობაში. სოლოლაკელთა ბატონობა ყველასათვის საძულველი იყო და თბილისის ყველა ეროვნებათა დემოკრატიული ელემენტები მის დამხობაში დაინტერესებული იყვნენ. მაგრამ ეს ვერ შეეძლებოდა, ვინაიდან თბილისის დემოკრატია შეუკავშირებელი იყო და ძველი საქალაქო არჩევნები ხომ მიუვალ ციხეს წარმოადგენდა მისი იერიშებისთვის. მადლი განგებას, დაემხო ძველი წყობილება, დაემხო ძველი საქალაქო არჩევნების წესი და მასთან ერთად, იქვე არ არის დაემხობა თბილისის თვითმართველობაში სოლოლაკელთა პარპაში. თბილისის ახალ არჩევნებში ყველა სრულწლოვან მოქალაქეს მიეცემა ხმა და ხმოსნებს აირჩევენ მთელი ქალაქის მცხოვრებნი და არა რამოდენიმე ათასი პირი. ასეთს პირობებში სოლოლაკელთა ბატონობის დამხობა უზრუნველყოფილია, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ იქნება უზრუნველი, თუ თბილისის დემოკრატია, შესაფერს წინდახედულობას და გონიერებას გამოიჩენს. დღეს სოლოლაკის პლუტოკრატიაზე უფრო რესპუბლიკელებს, რევოლუციონერებს და სოციალისტებს ძნელად თუ სადმე ნახავთ. ყველა ისინი ზოგი სოციალისტ რევოლუციონერებში ჩაეწერა, ზოგი „ბოლშევიკებში“ და ზოგი კიდევ ანარხისტებში. კადეტობას იმათში ძვირად თუ ვინმე გაამხელს. სოციალ-დემოკრატი „მენშევიკებიც“ საკმაოდ რევოლუციონერებად არ მიაჩნიათ. რად მოხდა ასეთი მათი გარევოლუციონერება, ადვილი ასახსნელია. რევოლუცია უკვე აღარ მოითხოვს ბრძოლას და თავ-განწირვას. სიტყვებს კი ისინი არ იზარებენ. თან არჩევნები მოახლოვებულია და ისეთი არჩევნები, სადაც სოლოლაკელთა ცენზიანი კოშკები შეშესვრილია· ალბა, რისი იმედი უნდა ჰქონდეს სოლოლაკს, თუ არა იმის, რომ ეგებ დემოკრატიამ დაუჯეროს ჩვენს სიტყვებს და მომავალ არჩევნებში ხმა მოგვცეს, როგორც რევოლუციონერებსა და სოციალისტებსო.

თბილისის ყველა დემოკრატიული ელემენტების ინტერესი მოითხოვს, რომ სოლოლაკელების იმედები არ გამართლდეს და მათი ბატონობა სამუდამოდ დაემხოს. წითელს სამკაულში მორთული მოეგლინება სოლოლაკი საარჩევნო ყუთებს და საჭიროა, რომ ისინი ამომრჩევლებმა შავით მოსილი გაისტუმროს.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ჩვენგან მომავალი არჩევნები. ჩვენი სირცხვილი იქნება თუ ეხლაც ჯერ-ობენი ადგილი დავიკავეთ ვერ თბილისის მუნიციპალიტეტში. მიზეზები აღარ გვეთქმის. წინეთ იმას ვაბრალებდით, რომ ქართველობა უფრო დემოკრატიულ ელემენტებისაგან შესდგება და მათ ცოტა ხმა აქვთო. ამას გარდა იმასაც კი ვაბრალებდით, რომ თბილისი უბნებად ისე იყო დაყოფილი, რომ ჩვენ ყველგან უმცირესობა გვქონდა. ეხლა ეს დაბრკოლებები უკვე მოისპო. ყოველი სრულ წლოვანი ქართველი მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში. უბნობით არ იქნება დათვლა, არამედ ყველა უბნებიდან ერთად იქნება დათვლილი, თუ რომელ სიას რამდენი ხმა მიეცა. უპირველესი საზრუნავია, რომ ყოველმა ქართველმა მიიჩნიოს თავის მოვალეობად საარჩევნო ყუთთან მისვლა და თავის უფლების განხორციელება, ზოგი მათგანი ხმას ეროვნულ დემოკრატებს მიცემს, ზოგი სოციალ-დემოკრატებს, თუ ფედერალისტებს, მაგრამ ყველა ეს ხმები ყოველს შემთხვევაში სოლოლაკის ბატონობის წინააღმდეგ იქნება მიმართული. რასაკვირველია, ქართული დემოკრატიის ინტერესები მოითხოვს, რომ თბილისის მომავალ ქალაქის საბჭოში თავისი პოლიტიკა აწარმოოს და ამისათვის შესაფერისი ხმოსნები ამოირჩიოს.

ეს ქართველ მოქალაქეთა შეგებაზეა დამოკიდებული.

დამფუძნებელი კრება და საქართველო

პეტროგრადში შესდგა კიდევ დამფუძნებელი კრების მომწვევი იურიდიული კომისია და ალბათ რავდენიმე კვირის შემდეგ გამოქვეყნებულ იქმნება ის ძირითადი დებულებანი, რომელთა მიხედვით არჩევნები უნდა მოხდეს მთელს რუსეთში. შესაძლებელია, რომ სულ ორიოდე თვის შემდეგ თვით დამფუძნებელი კრებაც შესდგეს. ეს გარემოება ყოველს შეგნებულ მოქალაქესა და მამულიშვილს განსაკუთრებულად ინტერესიური მუშაობისკენ მოუწოდებს. დამფუძნებელმა კრებამ განახლებულ რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებას ძირითადი საძირკველი უნდა ჩაუყაროს და მოსალოდნელია, რომ ამ კრების მუშაობის მიხედვით დიდი ხნით გადასწყდება ჩვენი საკუთარი ბედიც.

ცნობილია, რომ დროებითმა მთავრობამ არ იკისრა ძირითადი სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტა. დამფუძნებელმა კრებამ უნდა გადასწყვიტოს არა მარტო სოციალური და ეროვნული საკითხები, არამედ სახელმწიფოებრივი წასწყობილების ძირითადი ფორმაც კი უნდა შეიმუშავოს. დემოკრატიული რესპუბლიკისა, პარლამენტური წესწყობილებისა თუ კონსტიტუციური მონარქიის მიღება დამფუძნებელი კრების ნებაყოფლობაზეა დამოკიდებული. რასაკვირველია, დროებით მთავრობას შეეძლო სხვანაირად მოქცეულიყო და რევოლუციური გზით რესპუბლიკა დაემყარებინა. ასე მოიქცა სხვათა შორის საფრანგეთის დროებითი მთავრობა 1848 წელს. მაგრამ იქ ეს ორასი ათასი რესპუბლიკელი მუშის ძალდატანებით მოხდა, თანამედროვე რუსეთში კი სამწუხაროდ არ აღმოჩნდა საკმაოდ შეგნებული და შეკავშირებული ძალა, რომელსაც დროებით მთავრობის იურიდიული მოსაზრებები დაეძლია.

ეროვნული საკითხის გადაყვეტაში დროებითმა მთავრობამ კიდევ მეტი სიფრთხილე და თავდაჭერილობა გამოიჩინა. ეს სფერო თითქმის სავსებით მომავალს დამფუძნებელს კრებას დაუთმო. მართალია მან პოლონეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღძრა, მაგრამ ეს უფრო არსებული ფაქტის დადასტურება იყო, ვიდრე ახალი ნაბიჯის გადადგმა. უკრაინელებისა, ლატიშებისა, ქართველებისა და სხვათა მიერ გადადგმულ პრაქტიკულ ნაბიჯებს კი დროებითი მთავრობა ცხადი ანიდუმალი უკმაყოფილებით შეხვდა. ხოლო ფინლიანდიის დედა-ქალაქს ჰელსინგფორსში, დროებითი მთავრობის წევრმა მოქალაქე კერენსკიმ, რუსის ჯარის კაცებისა ტ მეზღვაურების წინაშე ენერგიული სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც თვით დაჩლუნგებული ყურიც კი აშკარა მუქარას გაიგონებდა ფინლიანდიელების მიმართ. დემოკრატმა მინისტრმა განაცხადა, რომ რუსეთი ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერია, რათა შეიარაღებული ძალით დარჩენილი ტერიტორიის მთლიანობა დაიცვას.

მოგცვემს თუ არა დამფუძნებელი კრება იმას, რაც ვერ მოგვცა დროებითმა მთავრობამ? ქართველი ხალხი დიდი ხნის განმავლობაში იმ იმედით სცხოვრობდა, რომ ერთხელ როცა იქნება რუსის დემოკრატია მოვა და განკურნავს ჩვენს ძველს ჭრილობებს. აი, რუსის დემოკრატიაც მოვიდა. იმ ადამიანებმა, რომელნიც დღეს დროებითს მთავრობაში სხედან, ჯერ ჯერობით ვერ შესძლეს ჩვენი მისწრაფების განხორციელება. მაგრამ შეიძლება ეს მათი საუკეთესო სურვილების წინააღმდეგ მოხდა. შეიძლება უფრო გულუბვნი აღმოჩნდნენ ის ადამიანები, რომელნიც მომავალ დამფუძნებელს კრებაში ისხდებიან. ღმერთმა ინებოს. ამ შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ ეროვნულ თავისუფლებას, რომელიც ასე გვენატრება დიდი ხანია. მაგრამ თუნდაც ეს არ მოხდეს, დამფუძნებელი კრება მაინც დიდათ საჭიროა ჩვენთვის. ის ჩვენი პოლიტიკური სკოლა მაინც იქნება, თუ ჩვენი თავისუფლების ლაბორატორია არ იქმნა. იქ თვალებით დავინახავთ და ხელით შევეხებით რუსის დემოკრატიას, რომელსაც აქამდე ოცნებაში ვატარებდით და განვთავისუფლდებით ზოგიერთი ბავშვური ილუზიისაგან, რომელიც ყოველთვის დიდათ მავნებელია პოლიტიკაში.

რას მოგვცემს დამფუძნებელი კრება? ეროვნულს თავისუფლებას ან პოლიტიკურს სიფხიზლეს. ორივე შემთხვევაში მოგებული ვიქნებით. ამიტომ ჩვენი უპირველესი ვალდებულება არის მზადება დამფუძნებელი კრებისათვის.

გერონტი ქიქოძე.

დეზერტირებთან გრძოლა

ჯარის კაცთა დეზერტირობა რუსეთში, ძველის-ძველი ამბავია. ამ ომის დაწყებიდან იგი თან და თან იზრდებოდა და უკანასკნელ ხანებში დეზერტირობამ რუსეთში სტიქიური ხასიათი მიიღო. თუ წინად გაწვეული ჯარის კაცი გაფრთხილდა უფროსთა პირუტყვულ მოპყრობას, დღეს ის დამშეული, დაუსრულებელ ომით ილაჯგაწყვეტილი და ავადმყოფი პოზიციებიდან სახლში მიეშურება. ამით თუ აიხსნება, რომ დღევანდელი რუსეთი სავსეა დეზერტირებით. ამით თუ აიხსნება, რომ რუს დეზერტირთა ზღვა მშიერი და მწყურვალი იკლებს სოფლებს, ქალაქებს და მშვიდობიან მცხოვრებთ მილიონიან ხარკსაც ადებს. ვოლგის ქალაქების ამბებმა ხომ ნათლად დაგვარწმუნა, რომ პუგაჩევის და სტენკა რაზინის აჩრდილები კვლავ წამოადგნენ თავს უშველებელ რუსეთსა.

და ამიტომ ადვილად გასაგებია რუს საზოგადოების შიშიც და ახალ მთავრობის სასტიკი ბრძანებებიც რუს დეზერტირობის წინააღმდეგ მიმართული.

მაგრამ ჩვენთვის გაუგებარია ასეთივე „დეზერტირობის შიში“ და ამით გამოწვეული დარბევა ხალხისა საქართველოში.

საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებიდან მოგვდის ამბები, რომ ქართულ სოფლებში გაჩნდნენ შეიარაღებული სალდათები. სჩხრეკენ და აქოთებენ გლეხკაცობის სახლებს და „ვისზედაც ეპვს მიიტანენ,“ როგორც იწერება ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი, მაშინვე იპერენ და გზავნიან სამხედრო უწყებათა განკარგულებაში. გორის მაზრაში სალდათებმა დიდძალი ახალგაზრდობა გაკრიფეს და გაგზავნეს გორში.

ჩვენ არაფერი გაგვიგონია, რომ ასეთი „ექსპედიციები“ რუსეთის სოფლებში დაიარებოდნენ. არაფერი გვესმის უკრაინიდანაც, არც სომხეთიდანაც.. ერთი სიტყვით არსაიდან.. საქართველოს სოფლებიდან კი ტირილის და რბევის კვნესა კიდეც გვესმის.

იქ, სადაც დეზერტირები ქალაქ ბს იერიშებით იღებენ და თავის გასაკუთრებულ „მთავრობებს“ აწესებენ, იქ ცენტრალი მთავრობა „დელეგატებს“ უგზავნის, ჩვენში კი შეიარაღებული სამხედრო ექსპედიციები იგზავნება.

ვინ არ იცის, რომ საქართველოში, შედარებით ფრონტზე გაგზავნილ და მყოფ ქართველ ჯარისკაცებთან, დეზერტირობის რიცხვი იმდენად მცირეა და შეუჩნეველი, რომ პირდაპირ გაუგებარია ვის და რისთვის მოუნდა რუს ჯარისკაცთა ხიშტების შემწეობით ასეთი ყოვლად დასაგმობ ზომებისათვის მიმართვა?

ვინ არ იცის, რომ რუსეთის ძველი რეჟიმის სამხედრო ბეგარის სისტემა, ისედაც არეულ დარეული ამ ომის დროს, მექრთამეობამ და ძალადობამ სოფლის პოლიციისა, სულ გადარია და მრავალი გლეხკაცი თეთრბილეთიანი ლურჯად აქცია და ლურჯი წითლად. და რომ ქართველ დეზერტირების უმნიშვნელო რიცხვის ხომ კაი ნახევარი ხსენებულ უსამართლობის მსხვერპლია. ან ორიოდე ათას დეზერტირის გულისათვის განა ღირს ჩხრეკა და აწიოკება მთელი ქვეყნისა? მაგრამ საქმე მართლაც რომ ნამდვილ დეზერტირებს შეხებოდა, თორემ ვინ არის დარწმუნებული, რომ სალდათების „ექვებმა“ ჯერ გაუწვიეველი და უკანასკნელი მუშა ხელი თან არ მიაყოლოს? ან და რომ ქართული სოფლის ცხოვრება „სხვა მხრივაც“ არ აიწეწება? და რადა ჩვენი საბრალო დამშეული და უხალხო ქვეყნის ცხოვრება ყველა ძალადობის ასპარეზად უნდა გადაიქცეს ხოლმე?!

ქართველი დეზერტირები მუდამ დღე აქა-იქ ძალდაუტანებლივ ცხადდებიან და ბევრი გამოცხადდა კიდეც.

რიდასთვის არის საჭირო ეს „სამხედრო ექსპედიციები“ და ხალხის შეწუხება?

დღევანდელ ხანის პოლიტიკურ მე-

სვეურებს ჩვენი ქვეყნისა უფრო მეტი სიბრძნე მოეთხოვება, უფრო მეტი შეგნება და პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე.

პოლიტიკურ „იანიჩარობას“ არა ერთხელ საქართველო სამარეს კარამდის მიუყვანია...

დღესაც დაღუპვას უქადის თუ ქართველი ხალხი გადაეარბებულ „ერთგულობის“ მტკიცების ექსპერიმენტად გადაიქცა.

რაინდმა პატარა საქართველომ ყველაზე დიდი წილი დასდო რუსეთის ომისათვის და რევოლიუციისათვის.

სამადლობელოდ კი რა მიიღო?

დეზერტირები ომისა და რევოლიუციისა სხვაგან ვეძებოთ...

თუ გნებავთ პეტროგრად-კრონშტადში და არა საქართველოში!

საქართველო არას დროს არ ყოფილა დეზერტირი არც ომისა, არც რევოლიუციისა, პირიქით იგი ყოველთვის აგანგარდში იდგა.

ორიოდე ქართველ დეზერტირის გულისათვის ქვეყნის შეურაცყოფა და ხიფათში ჩაგდება დღევანდელ პოლიტიკურ მესვეურთ არც გმირობის გგირგვინს დაუწნავს და არც საქართველოს მომავლის გონიერ მესვეურობის სახელს მოუხვეჭს.

პირიქით, კვლავ დამტკიცდება, რომ ჩვენ ვიყავით და ვართ თავდავიწყებული „იანიჩარები“.

დ. კახელი.

რევოლუცია

დეპეშები

ვაჭრობა და აღებ-მიცემობა ჯარში.

მინსკი, მაისის 24. მთავარსარდლის ბრძანება დასავლეთ ფრონტზე მომქმედ ჯარისადმი. „გერმანელ სამხედრო ტყვემ ჩვენების დროს განაცხადა, რომ აგერ ორი თვეცაა, რაც გერმანელთა ინიციატივით ვაჭრობა ჰხდება რუსისა და გერმანელ ჯარის კაცების შუა. ვაჭრობენ უმთავრესად პურით, შაქრით, საპნით, სამაგიეროდ რუსებს აძლევენ საათებს, საფულეებს, სამართებლებს, ციგარებს. რუსულ პურსა და შაქარს გერმანელები მეტად დაბალ ფასებში იღებენ, თანაც თხოულობენ ზედმეტ სართს რუსული ფულით. ტყვის სიტყვით ვაჭრობა ჰხდება რუსეთის თხრილებში, მავთულებიან ხლართებში. ყველაზე მეტი სურსათი გერმანელებთან მახლობლად მყოფ-საველე საყარაულოებიდან მოაქვთ. პური საკმაოდ მიაქვთ. თითქმის იმის ნახევარი, რაც ჯარის კაცისთვის დანიშნულია კერძად. ეს კი, გერმანელთ საშუალებას აძლევს სურსათ-სანოვაგის ნგვავე კრიზისი გადაიტანონ. რუსის აფიცრები ასეთ მოვლენას წინააღუდგნენ რამდენჯერმე, მაგრამ ვერას გახდნენ, გერმანელი ჯარის უფროსები კი აქებენ, რომ თავიანთ მებრძოლთ წესიერი საზრდო მიაწოდონ“. აუწყებს რა ამ ფაქტს მთავარსარდალი გურკო ხაზს უსვამს, აი, სადამდინ შეიძლება მივიდეს ლაშქარში წესრიგის დარღვევა, რომ ასეთს სამარცხვინო ვაჭრობისთვის მოუკიდიათ ხელი მებრძოლთ. უწყოდნენ, რომ მზგავსი ვაჭრობა ჩვენი ქვეყნის ღალატია რუსეთში პურის სიძვირის დროს ჩვენი ძმები და შვილები იტანენ გასაჭირს, აქ აშველებენ, ჯარები არ დაგვემშიონო და აქ კი ნათს წილს საზრდოს მტრის ხელში ჰხიდვენ გროშის ფასად. დასასრულს მთავარსარდალი იმედოვნებს, რომ ადგილობრივი კომიტეტები ყოველლონეს მოიხმარენ მოსპონ მტერთან ყოველგვარი დამოკიდებულება. ვინც კიდევ შენიშნული იქნება, გერმანელებთან მივა და რაიმე ვაჭრობას გამართავს, მას სასტიკად განსჯიან და სასამართლოსაც გადასცემენ.

დეზერტირობასთან და ჯარისკაცთა უწესოებასთან ბრძოლა.

პეტროგრადი. მაისის 24. სამხედრო დელეგატთა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა, გენერალ ბრუსილოვთან შეთანხმებით, გარდასწყვიტა ენერგიული ზომები მიიღოს დეზერტირობისა და ჯარისკაცთა უწესოების მოსასპობლად.

ზინგერის მუშათა გაფიცვა.

ადესა. მაისის 23. რადგან ზინგერმა მუშათა მოთხოვნილება არ დააკმაყოფილა, მუშები გაიფიცნენ. მუშათა დეპუტატების საბჭოს სექციამ გაფიცვას მხარი დაუჭირა.

ეკლესია და სახელმწიფო.

სიმფეროპოლი. მაისის 19. (მიღებულია ფოსტით). ეპარქიის საბჭოდელოების ყრილობამ საჭიროდა სცნა ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფა.

300 დეზერტირი.

კოსტრომა. მაისის 24. კერენსკის ბრძანებით ღამე ქალაქს ალყა შემოარტყეს და 300 დეზერტირი შეიპყრეს. დეზერტირთა უმრავლესობას პოლიციელები და ამნისტიით განთავისუფლებული ბოროტმოქმედნი შეადგენენ.

სამხედრო მოხელეთა კავშირი.

ქამენეც-პოდოლსკი. მაისის 24. დაარსდა კადრის სამხედრო მოხელეთა კავშირი. კავშირში მონაწილეობენ ქვეითი ჯარის, არტილერიის, ცხენოსანთა და საინჟენერო ჯარის წარმომადგენლები.

პირველსაჭიროების საქონლის ფასები

ტამბოვი. მაისის 21. (დაგვიანებულია). გუბერნიის გლეხთა ყრილობამ დაადგინა, შუამავლობა აღძრას, რათა მალე დაწესდეს მტკიცე ფასები პირველ საჭიროების საქონელზე.

თავისუფლების სესხი.

სიმბირსკი. მაისის 24. სიმბირსკში თავისუფლების სესხზე ხელის მოწერამ 50.000 მან. გადაამეტა.

უბედურება.

არმავირი. მაისის 24. მაისის 18-ს არმავირი ტუაპსეს რკ. გზ. მატარებელი ლიანდაგს გადასცდა. ბევრია დაჭრილი. მოკლული ერთია.

გლეხთა ყრილობის დადგენილება.

კლიმოვიჩი. მაისის 24. გლეხთა ყრილობამ სასურველად სცნო ერთპალატიანი რესპუბლიკა ეპრეზიდენტოდ. დაადგინა - განადგურებულ იქმნას სპირტის საწყობები, განდევნილ იქმნენ კომისარი და სამაზრო მილიციის უფროსი. კომისრად ამორჩეულია სოფლის მასწავლებელი ტარასოვი.

დამფუძნებელი კრების საკითხი.

პეტროგრადი. მაისის 25. დღეს გაიმართა თათბირი დამფუძნებელი კრების მოწვევის შესახებ. კრება გახსნა მინისტრთა თავმჯდომარემ, რომელმაც გაახსენა ყველას, თუ რა ძნელი საკითხი აქვსთ გარდასაწყვეტი, რომ უსამართლობა არ ჩაიდინონ მრავალფეროვან მცხოვრებთა წინაშე. „დამფუძნებელი კრება,—სთქვა თავ. ლვოვმა, წარმოადგენს ხალხის ნების უმაღლეს სახელმწიფო ორგანოს, რომელიც დაამთავრებს რუსეთის დიდს რევოლუციას და გამოიმუშავებს მომავალ დემოკრატიულ რესპუბლიკის საფუძველს. იგი იქნება პასუხისმგებელი მთელი მომავალი რუსეთის წინაშე. დამფუძნებელი კრება უნდა იყოს განმტკიცებელი ხალხის გონებრივი და სულიერი ძალლონისა. რევოლუციონური რუსეთი დღეს თავის სურვილების ფორმულებს გვიგზავნის. პროცესი ამ ფორმულებისა ჯერ არ დამთავრებულა, იგი ვითარდება მხოლოდ. მთელი ხალხიც იმითია დაინტერესებული, თუ როგორ განხორციელდება მისი ნების ყოფა. ხალხი თვითვე დაგეხმარებათ უძნელეს საკითხების გარდაწყვეტაში“. სიტყვის დამთავრების შემდეგ ლვოვმა თავმჯდომარეობა გადასცა კოკოშკინს. „ჩვენი ძველი კონსტიტუცია,—სთქვა კოკოშკინმა,—ნახევრად აბსოლუტური იყო. იგი დღეს აღარ არსებობს. მართალია, ჩვენ ახალი კონსტიტუცია არა გვაქვს, მაგრამ საძირკველი უკვე ჩაყრილია, ეს საფუძველია ხალხის მთავარგამგეობა ვიცნოთ ძალად. ჩვენ უნდა გამოვიმუშაოთ კანონის პროექტი, რომლის ძალითაც უნდა მოხდეს დამფუძნებელი კრების წევრების ამორჩევა. ეს საკითხი მეტად მარტივია და იმავე დროს ფრიად რთული პოლიტიკური თვალსაზრისით. ყველა ეს უნდა დაგძლიოთ. გზა ნაჩვენებია კიდეც. იგი მოხდება ფარული, საყოველთაო და თანასწორი ხმის მიცემით, ამასთანავე სქესის მიუხედავათ. მაგრამ აქ ტეხნიკური დაბრკოლებანი გველობენ. კანონის გამომუშავება ასეთს დიდს ქვეყანაში, სადაც ნაირ-ნაირი მცხოვრებია, ნაირ-ნაირი ცხოვრების პირობებით, მერე ისეთს ქვეყანაში, სადაც პირდაპირი და საყოველთაო არჩევნები პირველად ხდება, ადვილი საქმე როდია. შემდეგ ორატორი აღნიშნავს ესა და სხვა ტეხნიკურს დაბრკოლებას და მორიგ საკითხების გარკვევას შეუდგებიან.

გემის კომიტეტები.

პეტროგრადი. მაისის 27. საზღვაო მინისტრმა მაისის 22-ს დაამტკიცა გემის კომიტეტების დებულება. გემის კომიტეტში შედიან პირდაპირი, ფარული, საყოველთაო კენჭის ყრით არჩეული აფიცრები და მეზღვაურები. მის ხელში გემის მსახურთა შინაური ცხოვრების მართვა-გამგეობა იქმნება. კომიტეტი ჰსაზღვრავს გემის უფროსთა კომპეტენციის სფეროს და არ ეხება ტეხნიკურსა და ნაოსნობის ნაწილს.

პეტროგრადი. მაისის 24. დროებითმა მთავრობამ მოიწონა მინისტრების წერილისა და სკობელევის მოქმედება და დაადგინა: 1) წინადადება მისცეს კრონშტადტის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს დაასახელონ კანდიდატი კრონშტადტის სამოქალაქო ნაწილში დროებითი მთავრობის წარმომადგენლის ადგილზე. 2) კრონშტადტის საბჭოში ხმოსანთა არჩევნებს შეუდგეს დროებითი მთავრობის 1917 წ. აპრილის 15 დადგენილების მიხედვით. 3) წინადადება მისცეს იუსტიციის მინისტრს სასამართლოს უწყებიდგან, ნაფიც ვექილთაგან და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტისაგან გამომძიებელი კომისია შეადგინოს და კრონშტადტში დაპატიმრებულ პირთა საქმის გარჩევას შეუდგეს.

მაგარი სასმელები.

მინსკი. მაისის 25. მეორე არმიის შტაბის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა, დააარსოს სპეციალი კომისია, რომელსაც ევალება ფრონტის ახლო კერძო პირებს მაგარი სასმელები ჩამოართვას.

სიონელების ყრილობა.

პეტროგრადი. მაისის 25. სიონელების ყრილობაზე უსიშკინმა განაცხადა, რომ ებრაელებს ჯერ გაერთიანება სჭირია და მერე პალესტინის მოთხოვნაო. საზავო კონგრესი, ეჭვს გარეშეა, ამ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებსო.

მოსკოვის ქალაქის საბჭოს არჩევნები

მოსკოვი, მაისის 24. ამომრჩეველი სიები, ქალაქის საბჭოში ხმოსანთა ასარჩევად, უკვე შეადგინეს. არჩევნებში ცხრა-ასი ათასი მოქალაქე მონაწილეობს.

შუამდგომლობა

ოდესა, მაისის 26. ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა, შუამდგომლობა აღძრას ეპისკოპოზ მაკარი გნეუშევის გასაძევებლად. ამგვარივე შუამდგომლობა აღძრეს ქალაქის საზოგადო თავდაცვის კომიტეტმა და ეპარქიის ყრილობამ.

6 და 8 საათის სამუშაო დღე

ნიკოლსკ-უსურიისკი, მაისის 24 აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა ქალაქის, სახაზინო და კერძო დაწესებულებებში 8 საათისა, ხოლო კანტორა-კანცელარიებში 6 საათის სამუშაო დღე.

მესამე არმიის ყრილობა

მოძმეული ლაშქარი, მაისის 23. (დაგვიანებულია) მესამე არმიის ყრილობამ სეპარატიულ ზავის წინააღმდეგი რეზოლიუცია მიიღო. მისი აზრით, ომის მალე გასათავებლად იერიშებია საჭირო.

ქალთა თანასწორობის საზოგადოების თხოვნა

ოდესა, მაისის 26. ქალთა თანასწორობის საზოგადოებამ კერენსკის დეპეშა გაუგზავნა და სთხოვს ფრონტის ზურგში მომუშავე ვაჟები, ქალებით შესცვალონ.

კერენსკი დვინსკში

დვინსკი, მაისის 25. დილით აქ ჩამოვიდა კერენსკი გენერალ დრაგომიროვისა და მეხუთე არმიის სახელის გენერალ დანილოვის თანხლებით და რკინის გზის დეპოში გაემგზავრა, სადაც თავი მოეყარა ჯარის ნაწილების წარმომადგენლებს. მინისტრმა აღფრთოვანებით მოუწოდა მათ ერთობისა და დისციპლინისაკენ ხალხის სურვილის შესასრულებლად და დაჰგმო დაძმობილება და სეპარატიულ ზავის აგიტაცია. ნაშუადღეის პირველ საათზე კერენსკი მოსკოვს გაემგზავრა.

დასავლეთის ფრონტის ჯარის მთავარსარდლის ბრძანება

მინსკი, მაისის 26. რადგან გლეხებმა უარი სთქვეს ცეცხლ-მოკიდებულ ტყის ჩაქრობაზე, ამიტომ დასავლეთის ფრონტის ჯარის მთავარ-სარდალმა ბრძანება გამოსცა, რომლითაც ჯარის უფროსებს ცეცხლის წინააღმდეგ ზომების მიღება ევალებათ უმაღლეს ბრძანების მიღებამდე.

ზემგორის მუშათა შორის

მინსკი, მაისის 26. ზემგორის მუშათა შორის უკმაყოფილებამ იჩინა თავი. უკმაყოფილება ცროვრებისა და მუშაობის პირობებმა გამოიწვიეს. აგიტატორები მათ კომიტეტის დარბევას ურჩევდნენ. მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭომ ამის წინააღმდეგ ზომები მიიღო.

დეზერტირი.

ნიკოლაევი, მაისის 24. ჯარის კაცებმა და მეზღვაურებმა 400 დეზერტირი შეიპყრეს. ადესიდგან 1200 დეზერტირი მოიყვანეს. ყველანი ფრონტზედ გაჰგზავნეს.

პოდოვალოვის სიტყვა

მოსკოვი, მაისის 16. (დაგვიანებულია). სამთამადნო მრეწველთა ყრილობის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ა. ი. გუჩკოვი. მან სთქვა: რუსეთი მეტად საშინელს მდგომარეობაში ჩავარდა, მაგრამ იმედია, ყრილობა ყოველს სერიოზულს საკითხს სათანადოდ გაარკვევს და განსაცდელიდან იხსნის მშობელს ქვეყანასაო. გუჩკოვის შემდეგ ილაპარაკა ვაჭრობის მინისტრმა კონოვალოვმა: „ჩვენ უნდა გულახდილად აღვიაროთ, რომ მეტად მძიმე გზა გვაქვს გასავლელი, მძიმე და პასუხსადები საკითხები გვაქვს გასარკვევი. იცოდეთ, რომ ცენტრშიც და გარეთაც უკვე სცდილობენ ერთის უფლებანი გადაჰქელონ და მეორენი აღჭურვონ უპირატესობით. ასეთნაირადვე სცდილობენ თავისუფლებისა და უფლების წინ წაიაყენონ ძალმომრეობის პრინციპი, თავისუფლების დასათრგუნავად, უხეში ძალის გასაბატონებლად. ასეთს გარემოებას მთელი რუსეთი კატასტროფისკენ მიჰყავს. ამ კატასტროფის სახე ძველი რეჟიმის დროსაც არ ყოფილა ასე ნათელი, როგორც დღეს, არასოდეს ასეთი ბრძოლის ასპარეზიც ასეთს საშიშს მდგომარეობაში არ ყოფილა, როგორც დღეს. არასოდეს ასეთი უპირატესობა არ უგრძვნია, როგორც დღეს, დასასრულ, არასოდეს ჩვენი მოკავშირენი აო ყოფილან შეშფოთებულნი ყოვლისფრის დაკარგვის შიშით, როგორც ისევ დღეს. მუშათა წრეებში გადატყორცნილი ლოზუნგები აღელვებენ ბრბოს შავს ინსტიქტებს და შავს ანარქიისაკენ ეწევიან ყველას, საზოგადო ნგრევისა და სახელმწიფო სიცოცხლის დასარღვევდასასამარებლად. ამ აგიტაციის წყალობით მუშები ადგენენ შეუძლებელს მოთხოვნილებათ, შეუწყნარებელის ფორმით. დიდი ენერგიაა საჭირო, რომ ქვეყნიერება ვიხსნათ სრული დანგრევისაგან. როდესაც უარვყავით ძველი რეჟიმი, გვწამდა, რომ ახალის დამყარებით ქვეყანა ეღირსებოდა ძლიერს განვითარებას, შემოქმედებით ძალის აღორძინებას, დღეს კი უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ და რა გზით გადავარჩინოთ სრულის დაღუპვისაგან ჩვენი ერის სიცოცხლე, მისი ეკონომიური თუ მრეწველობითი აწეწილ-დაწეწილი საქმენი. თუ რომ ახლო მომავალში ეს ხალხი ვერ მიხვდებიან, რომ თვითვე იჭრიან იმ შტოს, რაზედაც სხედან, მალე მოწმები გავხდებით, თუ როგორ შეჩერდება ათასობით წარმოება, როგორც დამბლა დაეცემა მთელს ჩვენს ეკონომიურს ცხოვრებას, როდესაც მილიონობით უმუშევრად დარჩებიან, პურსა და თავშესაფარს ვერ იპოვნიან, როდესაც წარმოების სულთათქმის ძრწოლვა შეარყევს კრედიტს და გამოიწვევს საფინანსო კრიზისს, საყოველთაო განადგურებას. მაშინ ხალხი მიხვდება, თუ რა საზარელს უფსკრულშია გადავარდნილი, მაგრამ გვიანღა იქნება. სახელმწიფოს არ შეუძლიან პასუხისმგებლობა აიღოს, როდესაც მუშებს აღეფურავენ ესოდენი უპირატესობით. მთავრობა ეძიებს სახსარს შრომისა და კაპიტალის მოსარიგებლად. მთავრობა ელის დახმარებას იმათგან, ვისაც სწამს და უნდა რევოლიუციონურ რუსეთის გამარჯვება. თუ ეს ასე არ მოხდება, თუ ყველანი ერთსულოვნად არ მივიცემთ მხარს, რომ მთავრობას მხარი დავუჭიროთ, მაშინ საქმე წაგებულია. მწამს, რომ გამოვეფხიზლდებით. მწამს, რომ ამ გზით რუსეთი თავს დაახწევს განსაცდელისაგან“. კონოვალოვის სიტყვას ოვაციებით ეგებებიან.

ეროვნული საკითხი

უკრაინელთა ულტიმატუმი

დონის-როსტოვი. მაისის 23. (დაგვიანებულია). ჯარის კაცთა და აფიცერთა დეპუტატების საბჭოს დადგენილება ჯარების ნაციონალიზაციის წინააღმდეგ, უკრაინელებმა არ მიიღეს. მათ საპასუხოდ უკრაინელმა ჯარის კაცებმა და პროფესორ დანილევიჩმა დემონსტრატიულად ორკესტრი დაუკრეს და ჩაშალეს მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს დღის კრება. უკრაინელებმა ულტიმატუმი წარუდგინეს, მოგვეცით იარაღი, ამუნიცია და თავშესაფარი. თუ უარს გვეტყვით, კიევში წავალთო. საბჭოს ვადად 1 საათი მისცეს. საბჭომ უკრაინელთა თხოვნა უკუ აგდო.

გლეხთა ყრილობა და ერეოვნული კითხვები.

ადესა, მაისის 25. საფრონტო ყრილობაზე მიიღეს რეზოლუციები ეროვნული კითხვების შესახებ. აღიარეს ერთა თვითგამორკვევის უფლება, ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია, მშობლიურ ენის ხმარება სასამართლოში და საადმინისტრაციო დაწესებულებათა შორის. კითხვების საბოლოვო გადაწყვეტა დამფუძნებელ კრებას მიენდო.

ომი და ფლოტი

დეპეშები

მთავარბანაკის ცნობა.

პეტროგრადი, მაისის 26. დასავლეთის და რუმინეთის ბრძოლის ველზე მდგომარეობა არ შეცვლილა.

კავკასიის ახპარეზი. ქერმანშაჰის და ხანიკინის შუა ქურთები კვლავ თავს ესხმიან ჩვენს საყარაულო და სასურსათო ურმებს.

მფრინავთა მოქმედება. მაისის 19-ს კაპიტანმა კრუტენემა გერმანელთა თვითსაფრენი ჩამოაგდო; თვითსაფრენი ტარნოპოლიდან 25 ვერსის (დასავლეთით) დაშორებით ჩამოვარდა. მფრინავები დაიღუპნენ, მანქანა დაიწვა. მაისის 25-ს იმავე კაპიტანმა კრუტენემა შენიშნა გერმანელთა 3 თვითმფრინავი, მიეწია ერთ მათგანს და ჩამოაგდო; დაჭრილი მფრინავები ტყვედ წამოვიყვანეთ.

გერმანელთა დაძმობილება.

რიგა, მაისის 25. იქსეიულთან ახლოს გერმანელებმა აახმაურეს დაძმობილების სანიშნო საყვირი და თეთრი დროშა გამოჰკიდეს. როდესაც ჩვენი ჯარისკაცები მათ თხრილებს მიუახლოვდნენ, გერმანელებმა თოფის ტყვია დაუშინეს. რუსებმა თხრილებში შეასწრეს.

ინგლისის მთავარბანაკის ცნობა.

ლონდონი, მაისის 24. ინგლისის მთავარბანაკის ცნობა საფრანგეთში. ოფიციალი. სკარპის ჩრდილოეთით, ჩვენმა ჯარმა კამპის გორაკისკენ და აგრედვე ლანსის დასავლეთით საკმაოდ წინ წაიწიეს. არმანტიერის ჩრდილოეთით რამდენჯერმე თავს დავესხით გერმანელებს და დიდად დავაზარალეთ.

ლონდონი, მაისის 24. ოფიციალი ცნობის თანახმად მტრის გუშინდელ საჰაერო ბრძოლაში მოკლულია 12 კაცი. დაჭრილია 36; ჩვენი მატერიალური ზარალი სრულიად უმნიშვნელოა.

ლონდონი, მაისის 24. ინგლისის მთავარბანაკის ცნობა საფრანგეთში, მაისის 24. გრილონდის გორაკზე მტრის სანგრები ვიგდეთ ხელთ. დავატყვევეთ 161 კაცი, მათგან 2 აფიცერია. იპრის ჩრდილოეთით დღესაც ტყვეები წამოვიყვანეთ. სკარპის მარჯვენა ნაპირზე, ვამპის ახლოს რესინერის არე-მარეში ორივე მხრიდან საარტილერიო ბრძოლაა.

ლონდონი, მაისის 24. ოფიციალი. გუშინ გერმანელთა 8 ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ. 8 სხვაც დავაზიანეთ; ჩვენ 7 ჰაეროპლანი დაგვაკლდა.

ლონდონი, მაისის 25. ოფიციალი ცნობა ეგვიპტეში მოქმედების შესახებ. საარტილერიო ბრძოლა ორივე მხრიდან მეტად გაცხოველდა. ჩვენმა მფრინავებმა ჰაზირხარეირის და ბირშევის მიდამოებში ყუმბარები ჩამოჰყარეს.

პარიზი, მაისის 24. ოფიციალი ცნობა. საღამოს 11 საათზე, გერმანელთა რაზმები ყველგან უკუ ვაქციეთ. ფილეშის სამხრეთით მტერმა რამდენიმე ჩვენი თხრილი იგდო ხელთ.

ჰავრი, მაისის 24. ბელგეთის ოფიციალი ცნობა. სტრენსტრეტე ჰეტხაესის უბანში საარტილერიო სროლაა; ჩვენ მედგრად ვესროდით მტრის სანგრებს.

პარიზი, მაისის 25. **დღის ოფიციალი ცნობა.** სენ-კატენის ჩრდილო-დასავლეთით გერმანელთა გაფფრებული იერიშები შევაჩერეთ. ამენიდედამის ჩრდილოეთით არტილერიის მოქმედება გაცხოველდა. ფილემის სამხრეთით, ზემო ელზასში,—იზელის დასავლეთით მტრის მოულოდნელი იერიში მოვიგერიეთ.

მფრინავთა მოქმედება. მაისის 24-ს მტრის ორი საფრენი მანქანა ჩამოვაგდეთ. მაისის, 22 და 23-ის დამატებით ცნობებით მტრის 3 საფრენი მანქანა კვლავ ჩამოგვიგდია.

პარიზი, მაისის 23. **საღამოს ოფიციალი ცნობა.** ფილების სამხრეთით, შმენ-დე-ლამის რაიონში საარტილერიო ბრძოლა მეტად გაცხოველდა. ახპარეზის დანაშთეხ ადგილებში ხანდაზმით საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს.

ოფიციალი ცნობა ახლო აღმოსავლეთის შესახებ. ვარდარის მარჯვენა ნაპირზე, მტრის არტილერიამ ფრიად ენერგიული მოქმედება გამოიჩინა.

მფრინავთა მოქმედება.

სევასტოპოლი. მაისის 22. რუმინეთის უბანში, ჩვენმა მფრინავთა ყუმბარებმა გერმანელები დიდად დაზარალეს.

ლონდონი, მაისის 17. **ოფიციალი ცნობა.** (დაგვიანებულია) ეგვიპტეს სამხედრო მოქმედების შესახებ. ჩვენმა ბატარეიამ მტრის რამდენიმე ზარბაზანი გაანადგურა.

სამხედრო მოქმედებანი აღმოსავლეთ აფრიკაში. განახლდა სამხედრო ოპერაციები. გერმანელები ღელისკენ წინ იწევენ. სანაპირო რაიონში იგინი შეცვივდნენ პორტუგალელთა მამულებში, მიუახლოვდნენ ნიონსის ოლქს, დასწვეს ადგილობრივ მცხოვრებთა სოფლები, და გაიტაცეს სურსათი. მოხდა პატრულთა შეჯახებანი და მცირე ბრძოლანი ცენტრალ ოლქებში. გერმანელები საზღვრეთისკენ ჯერ ისევ თებერვალში მიიწევდნენ, მაგრამ ერთმა ჯგუფმა ჩრდილოეთისკენ წაიწია და აპრილის 23-ს კიტუნდის ტამორუს გზაზე მაისის 7-ს ბელგიელთა ჯგუფმა ინგლისელებთან ერთად შეიპყრო გერმანელ რაზმის ხელმძღვანელი.

გურკოს შუამდგომლობა.

პეტროგრადი, მაისის 25. სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის მთავარ-სარდალმა გურკომ შუამდგომლობა აღძრა გადადგომის შესახებ.

რევოლიუცია.

ცარიცინი, მაისის 24. ბოლო ხანში ქალაქში მეტად გავრცელდა ძარცვა-გლეჯა და მკვლელობანი. მცხოვრებთ თავზარსა სცემენ, თავს დაესხნენ ტოკარევის სტამბას; გაიტაცეს ასოები და სასტამბო მანქანა. ყაზარმაში საკუთარ სამართლით მოჰკლეს ქურდი კაზაკოვი.

ვაშინგტონი, მაისის 24. გუშინ შეიარაღებულმა გემმა გერმანელთა წყალქვეშა დაჰლუპა.

პარიზი, მაისის 24. ჰავრის საჰაერო სადგურიდან ჩვენმა მფრინავებმა შეპნიშნეს გერმანელთა წყალქვეშა, რომელიც გემს უნდა მიჰპარვოდა. მყისვე ყუმბარები ჩამოჰყარეს და წყალქვეშა აღარ გამოჩენილა. 21 მაისს საღამოთი, ბრიუპეს და მისტელზე ყუმბარები ჩამოჰყარეს.

ანტიებრაელური მოძრაობა.

ლონდონი, მაისის 24. ლონდონიდან იუწყებიან: ორშაბათს დაიწყო ანტი-ებრაელური მოძრაობა. იგი გამოწვეულია პაციფისტურ კონფერენციის მიერ. მეამბოხეებმა დიდად დაზარალეს ებრაელთა სახლები და დუქნები. მილიციამ დარბევა მალე შეაჩერა.

რუსეთი და უცხოეთი

სიძვირის წინააღმდეგ

ეკატერინოსლავი. მაისის 24. ყველგან სიძვირის წინააღმდეგ აგიტაციას ეწევიან. დაჰკეტეს ფაბრიკა-ქარხნები, მაღაზიები, სახელოსნოები, სკოლები, გაზეთები არ გამოსულა. ქუჩებში დემონსტრაციებია.

ხალხის სამართალი

სიმფეროპოლი. მაისის 24. ეგვიპტორიაში ბრბომ ხალხის სამართლით დასაჯა ქურდობაში შემჩნეული რამდენიმე პირი. მოკლულია 7 კაცი.

ქრონიკა

კავკასია

გადასახლების გაუქმება. დროებითმა მთავრობამ გადასახლება, როგორც სასჯელი, შემდეგის სახით გააუქმა: 1) სისხლის სამართლით გადასახლება შეიცვალოს ციხეში ჩასმით, სამ წელზე არა ნაკლების ვადით; 2) სისხლის სამართლით გადასახლება, მასთან ერთად ყოველ უფლების ჩაჩამორთმევა უნდა შეიცვალოს გამასწორებელ რაზმში გაგზავნით ოთხიდან ექვს წლამდე, განსაკუთრებულ უფლებათა უპირატესობის ჩამორთმევით.

სამოსწავლო ოლქის გამგეობა. მასწავლებელთა ყრილობამ შემდეგი წესი მიიღო: სასწავლო ოლქს განაგებენ: კომისარიატი და საბჭო. საბჭოს შემადგენლობა ასეთია: 12 წევრი საოლქო თათბირის მიერ არჩევით და განსაკუთრებული ამიერ-კავკასიის კომიტეტის დამტკიცებით, 4 წარმომადგენელი მუშათა საბჭოში (2 ჩრდილო-კავკასიიდან და 2 ამიერიდან), 4 წევრი გლეხთა საბჭოდგან (2 ჩრდილო-კავკასიიდან და ორიც ამიერიდან), მასწავლებლების მხრით მთელი საბჭოს ნახევარი, თითო წარმომადგენელი მუნიციპალიტეტისა და საგუბერნიო და საოლქო კომიტეტებისა, როცა საკითხი მათ სკოლებს ეხება. გარდა ამისა საჭიროებისდაგვარად მოწვეულ იქმნებიან ერების წარმომადგენლებიც.

საქართველო

მთიელთა წარმომადგენელნი. თბილისში ჩამოვიდნენ მთიელთა კავშირის ცენტრალ კომიტეტის თავმჯდომარე ბ. ჩერმაევი და იმავე კავშირის წევრი თავ. რაშიდ-ხან ყაფლა-

ნოვი. მათი ჩამოსვლის მიზანია გამოარკვიონ ქართველ პოლიტიკურ პარტიათა ურთიერთ შორის დამოკიდებულება და ეროვნულ საკითხის ვითარება. ჩამოსული სტუმრები ჰფიქრობენ აღძრან საკითხი თუ როგორ და რა სახით მოარიგონ თუშებისა და ქისტების საქმე ისე, რომ შეიარაღებულს რაზმებს არ მოუხდეს იქ წასვლა.

თბილისი.

→ რედაქციისაგან: გუშინდელ ნომერში რომ ივ. გომართლის წერილი იყო დაბეჭდილი, იგი „ხალხის თავისუფლებიდან“ არის ამოღებული. წერილის აწყობის დროს ეს შენიშვნა შეცდომით გამოტოვებულ იქმნა.

— იმავე ნომერში შეცდომით დაიბეჭდა ბატ. Legatus-ს წერილი.

→ ხაკათოლიკოსო წირვა. ღღეს, კვირას, 28 მაისს, ყოვლად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრე, ყ-დ უსამღვდელოესი ლეონიდე, ეპისკოპოსი გურია - სამეგრელოისა, სამღრთო ლიტურგიას შეასრულებს სიონის საკათედრო ტაძარში.

→ დამალული კვერცხის აღმოჩენა. გუშინ, 26 მაისს, თბილისის მილიციის მეორე კომისარიატია მილიციონერებმა ბარონის ქუჩაზედ ხეჩიკიანის საწყობში 30-ათასამდე გადამალული კვერცხი აღმოაჩინეს. ნაპოვნი კვერცხი თბილისის სასურსათო კომიტეტს გადასცეს.

→ ამრჩეველთა აღწერის ზედამხედველებად შემდეგი პირნი დაინიშნენ: 1 უბანში მ. ნ. ვეფხელეგზოროვი და ერაძე, (ოლდას ქუჩა 52, ქალაქის პირველ დაწყებითი სასწ.) მე-2 უბანში გ. დ. ჟურული და კოვალენსკი (არტ. საზოგ.) მე-3 უბანში ნ. ვ. რამიშვილი და ს. გ. გალსტიანი (ქალ. მესამე სასწავლ.) მე-4 უბანში ბ. მ. ბროდსკი და ნ. დოლუხანოვი (ეკზარ. მოედ. სახელ. სასწ.). მე-5 უბანში ლ. გ. ევანგულოვი და გუსეინ მინასაზოვი (ქალ. საავად. კიროჩნ. ქუჩა) მე-6 უბანში ვ. ა. ბოგუცკი და მინასიანცი. (ნადეჟდ. თავშესაფარი, რეიტერის ქუჩა). მე-7 უბანში ა. კრზიჟანიანი და გ. ტერ-სტეფანოვი (კახეთის მოედ. ავლაბრ. კლუბი). მე-8 უბანში ა. ს. ბაბოვი და ვ. ა. ჩერნიშევი. (პირვ. კომერც. სასწავლებელი). მე-9 უბანში ნ. ვ. აბრამიანი და ბ. ი. ამირაგოვი (სასურსათო კომიტეტი, რეუტოვის ქუჩა). მე-10 უბანში მაიოროვი და ივანოვი (სახალხო სახლი). 11 უბანში დანილოვი და წვეროვი (აკულა) (ბოტტეს სახლში). მე-12 უბანში ინა ჟორდანია და შტეინგერი. (შერემეტ. ქუჩა. რკინის გზის სასწავ.)

→ მშობელთა და მასწავლებელთა კრება. ხვალ მაისის 29-ს საღამოს 2 საათზედ რეალურ სასწავლებლის შენობაში მოხდება არა ჩვეულებრივი კრება მშობლებისა და პედაგოგიური საბჭოსი. განსახილველია სასწავლებელში შექმნილ არა ნორმალურ მდგომარეობის მიზეზები და მშობლებისა და პედაგოგიურ საბჭოს შორის მტკიცე კავშირის დაარსება ახალ სკოლაში საერთო შეგნებული მუშაობისათვის.

→ შემოწირულება ომისათვის. მაისის 25-ს თბილისის სახელმწიფო ბანკის კონტორამ გენერალ-მაიორის ფონ-პარტენის მიერ ომის საჭიროებისათვის დროებით მთავრობის განკარგულების ქვეშ მიიღო 13.500 მ.

→ საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის კრება. კვირას, მაისის 28-ს საღამოს 8 საათზე მეფის ნაცვლის კანცელარიის შენობაში შესდგება საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის კრება—შემდეგი რიგით: ა) ი. შ. ფირუმოვის მოხსენება—აგრონომიულ შემწეობის აღმოჩენა მცხოვრებთათვის. ბ) ი. პ. ბესელიძის მოხსენება სარაიონო ორგანიზაციებისათვის.

→ პროვოკატორთა საქმე. ამ დღეებში კავკ. საგ. კომიტეტთან არსებული საგამოძიებლო კომისია, გადაჰსინჯავს 40 პროვოკატორის საქმეს, რომელნიც დღეს მეტეხის ციხეში იმყოფებიან.

→ აფიცერთა ყრილობა. 25 მაისს, შესდგა თბილისის მეციხოვნე (გარნიზ.) აფიცერთა ყრილობა, რომელიც აფიცერთა პროფესიონალ კავშირს დაარსებს. კავშირს მიზნად ექნება დასახული არმიის რეორგანიზაცია სრულიად ახალს საფუძველზე, რანაირიც დროებით მთავრობის მიერ არის ნაჩვენები.

→ სეირნობა. წ.-კ. გ. საზოგადოება რომ მართავდა ამ თვის 28-სთვის სასახლის ბაღში, საზოგადოების გამგეობისაგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო სხვა დროისთვის გადაიდო, ღღე და ადგილი სეირნობისა ცალკე იქნება გამოცხადებული.

→ არჯევანიძის სკოლა. ღღეს, მაისის 28, ღღის 3 ს. 20 წ., ბორჯომის მატარებლით მიემგზავრება წაღვერის ტყეში არჯევანიძის სკოლა ექიმთან და ხელმძღვანელებთან ერთად. მეცადინეობა დაიწყება 29 მაისს.

→ თბილისის შოფერები. მიუხედავათ მრავალ ჯერ გაფრთხილებისა, თბილისის შოფერები, როგორც კერძო ავტომობილებზე მსხდომნი, აგრეთვე სამხედროებზე, გაუფრთხილებლად და გაშმაგებულად დააქროლებენ ავტომობილებს, ამის გამო მილიციის უფროსი აცხადებს, რომ წეს-რიგის და განკარგულებათა დარღვევისათვის სასტიკად დაისჯებიან როგორც შოფერები, აგრეთვე ავტომობილების პატრონები. უკიდურეს შემთხვევაში ავტომობილი ჩ მოერთმევა პატრონსაო. ასეთივე გრძანება გამოსცა მილიციის უფროსმა წეს-რიგის დამრღვეველ მეეტლებზეც.

მოქალაქენი მიწის შესახებ. 25 მაისს ნაძალადევში მოხდა კრება მოქალაქეთა. ყრილობაზე ილაპარაკეს მეუმრავლესეებმა, მათ პასუხი გასცეს მეუმცირესეებმა. როცა მეუმრავლესეებმა მიწის ნაციონალიზაცია მოითხოვეს და ახლავე მოუწოდეს მიწეგის ხელში ჩასაგდებათ, კრება მათ ყვირილით შეხვდა, დიდმა უმრავლესობამ მათი წინადადება უარყო.

→ ქალაქის არჩევნები და გადმოხვეწილნი. კანონით საარჩევნო უფლებას მოკლებული არიან უცხოეთის, სხვათა შორის სპარსეთ-ოსმალეთის ქვეშევრდომები, რომელთა რიცხვი დაახლოვებით 80 ათას სულს უდრის, ამათგან დიდი უმრავლესობა ომიანობის ხანაში გადმოხვეწილთა რაზმს შეადგენს.

→ თბილისის ქართველ კათოლიკეთა საეპისკოპოსო კათედრის აღმადგენელი დროებითი კომიტეტი იწვევს საზოგაოდო კრებას კვირას, 28 ამ მაისისთვის მოსახსენებლად თავის მოქმედებისა დელეგატთა საზოგადო კრების მოწვევამდე.

→ ემიგრანტები. ენენევიდან ჩამოვიდნენ შემდეგი ემიგრანტები: თევზაია ბიქტორი, ოკუჯავა ვლადიმერი, ხოფერია კონსტანტინე და ვაშაძე ალექსი.

ჟუთაისი.

→ გახასყიდი სიმინდი. ქუთაისის საგუბერნიო-სასურსათო კომიტეტი აცხადებს, რომ აბაშაში და ახალ-სენაკში იყიდება ვაგონებით (არა ნაკლებ 1000 ფუთისა) ადგილობრივი სიმინდი ფუთი 2 მან. 87 კაპ. ვაგონებში დატვირთვით. სიმინდი შეუძლიათ შეიძინონ მხოლოდ კოოპერატივებს და სასურსათო კომიტეტებს შემდეგნაირათ: ფუთზე 2 მან. 87 კაპ. ანგარიშით უნდა შეიტანონ ხვედრი ფული ქუთაისის ხაზინაში ქუთაისის საგუბერნიო-სასურსათო კომიტეტის მიმდინარე ანგარიშზე და კვიტანცია წარმოადგინონ კომიტეტში, რის შემდეგ კომიტეტი გასცემს სათანადო განკარგულებას ნაყიდი სიმინდის მყიდველისათვის გადასაცემად.

ეროვნულ დემოკრატიულ პარტიაში

საუბნო კრება.

თბილისის მეორე უბნის საერთო კრება გაიმართება კვირას მაისის 28-ს, სწორედ შუადღის 12 საათზე, ახალ კლუბის საზაფხულო დარბაზში. კრება მოისმენს საპროგრამო სიტყვებს. განმარტებული იქნება პარტიული პროგრამა და საორგანიზაციო საკითხები და მოქმედების გეგმა. უკანასკნელ მოხდება არჩევნები უბნის წარმომადგენლებისა პარტიის კონფერენციაზე დასასწრებლად.

პარტიის საუბნო კომიტეტი მოუწოდებს პარტიის წევრთ და თანამგრძნობთ მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში.

იარაღის ტარების შესახებ

1) სასროლი იარაღის შეძენა, სახაზინოსი თუ სამხედროსი ყველასთვის აკრძალულია. **შენიშვნა.** სამხედრო იარაღი ეწოდება იმ იარაღს, რომელსაც ხმარობენ რუსის და სხვა სახელმწიფოების ჯარში. 2) რომელთაც ამ ჟამად მოეძებნებათ ზემოხსენებული იარაღები, მოვალენი არიან დაუყონებლივ გადასცენ სამაზრო, საოლქო თუ საგუბერნიო კომისარებს სამხედრო მთავრობის გადასაცემათ. კომისარები იარაღის პატრონებს სათანადო კვიტანციებს მისცემენ. 3) ზემოხსენებული იარაღის ნებადაურთველად ტარება აკრძალულია. იარაღის ტარების ნებას აძლევენ სამაზრო, საოლქო თუ საგუბერნიო კომისარიატები. მხოლოდ მხედველობაში მისაღებია, რომ სამაზრო და საოლქო კომისარიატების

დონ დამიანე საკაკაშვილი

(ქართველ კათოლიკეთა ეპისკოპოსის ერთი კანდიდატთაგანი)

მიერ მიცემულ ტარების ძალა აქვს მხოლოდ იმ მაზრის თუ ოლქის საზღვრებში. გუბერნიის კომისარიატის ნება-რთვას კი ძალა ეძლევა მთელ ამიერ კავკასიაში. **შენიშვნა.** მჭრელი იარაღის ტარება (ხმლის და ხანჯლის) ყველასათვის ნება დართულია. 4) ნებართვა სასროლ იარაღისთვის ეძლევათ კომისარის ხელმოწერით. ნებართვაზე აღნიშნული უნდა იყვეს გვარი და სახელი ვისაც ნებართვა ეძლევა და სათანადო ბეჭედი უნდა ჰქონდეს. იარაღის მტარებელი მოვალეა ნებართვა ყოველთვის თან ატაროს. 5) კომისარიატს ნება ეძლევა თუ კი ის საჭიროდ დაინახავს უკანვე წაართვას იარაღის ტარების ნება. 6) ვისაც დაეკარგება აღებული ნებართვა, მოვალეა დაუყონებლივ აცნობოს კომისარიატს. 7) ძალით წართმეული იარაღი დაუყონებლივ უნდა გადაეცეს სამხედრო მართველობას. 8) იარაღის ტარების ნება საჭირო არ არის იმისთვის, ვინც მსახურებენ სამხედრო სამსმხურში და თავის თანამდებობის მიხედვით უფლება აქვს ამა თუ იმ იარაღის ტარებისა. 9) კომისარები, ქალაქის თუ მაზრის მილიცია მოვალენი არიან ყურადღება მიაქციონ, რომ ეს დადგენილება სისრულეში იქნას მოყვანილი. 10) ძველი მთავრობის მიერ მიცემული ნება-რთვა ჰკარგავს თავის ძალას, ხოლო ნებართვა აღებული ახალი მთავრობიდან დღემდე ძალაშია. 11) ვინც არ დაემორჩილება ამ დადგენილებას და მის დარღვევას შეეცდება, დაჯარიმებული იქნება 1000 მ. ხაზინის სასარგებლოდ ან და ერთ თვეს ციხეში ჩაჯდება. 11) ეს დადგენილება ძალაში შედის ღღიდან გაზეთში გამოქვეყნებისა და მის ასრულება ყველასთვის სავალდებულოა.

დონ დამიანე საკაკაშვილი

ქართველ კათოლიკეთა ეპისკოპოსთა ერთი კანდიდატთაგანი.

დონ დამიანე საკაკაშვილი დაიბადა ქ. ქუთაისში 19 ივნისს 1865 წ. მამა იყო იაკობი (გორელი) და დედა მაგდანელა ლაჩინაშვილი (აბხაზელი). მშობლებმა 7 წლისა მიაბარეს იგი ადგილობრივ კათოლიკეთა სკოლაში, შემდეგ გიმნაზიაში და 1883 წ. თავისი სურვილისამებრ მისმა მამიდაშვილმა დონ ივანე ანტონოვმა, მაშინდელმა ქუთაისის რ.-კ. ეკლესიის წინამძღვარმა, გააგზავნა რომში სასწავლებლად ურბანო VIII პაპის დაარსებულ კოლეგიაში, სადაც წავიდა 1891 წ., დაამთავრა და გამოემგზავრა სარატოვში ტირასპოლის რ.-კ. ეპარხიის ეპისკოპოსთან, რათა მღვდლად კურთხეულიყო (საზღვარ-გარედ მღვდლობის მიღება მთავრობისაგან აკრძალულია), თანაც რეკომენდაციის წერილი ჰქონდა იმ კოლეგიის უფროსისაგან—კარდინალ სიმეონისაგან. ეპისკოპოსმა ცერრმა იგი ჩარიცხა თავის კლერიუმის სიაში და 6 თვის შემდეგ კიდეც აკურთხა მღვდლად. უნდოდა ეპისკოპოსს დაენიშნა იგი პროფესორად მისივე სემინარიაში, მაგრამ მან ამჯობინა ემოღვაწა მრევლის დახმარებაში და სთხოვა სადმე დაენიშნა სამრევლოში. და 20 მარტს 1892 წ. გააგზავნა იგი ადმინისტრატორად პერეკოპის (თავრიზის გუბ.) სამრევლოში, სადაც ერთი წელიწადი ერი უმღვდლოთ იყო.

6 თვის განმავლობაში აღაშენა აგურის ერთი პატარა ეკლესია პერეკოპში, სადგომი სახლი შეაკეთა მოწყობილობით, შემოარტყა რკინის ზღუდე და სხვა. ეს სუყველა აქა-იქა წასვლით და ფულის შეკრეფით (20,000 მან.). მოახერხა.

13 აგვისტოს 1894 წ. იტალიელების თხოვნით გადაყვანილ იქმნა ბერდიანსკის (აზოვის ზღვა) სამრევლოს მმართველად, აქაც გაამშვენიერა ეკლესია.

22 იანვარს 1899 წ. გაგზავნილ იქმნა ოდესაში იტალიელებისათვის და თანაც ეხმარებოდა პოლონელების მღვდელსაც, რის გამო შეისწავლა მათი ენაც—პოლონური. ამ ენაში ისე დახელოვნდა, რომ მერე თავისუფლათაც ქადაგებდა.

13 ივნისს 1902 წ. გადაიყვანეს ლუგანსკში (ეკატერინოსლავის გუბ.) იქაური მრევლის თხოვნით. იმ ხანში გამოიცვალა ეპისკოპოსი ტირასპოლისა ცერრი და მის ადგილზედ დაინიშნა ეპისკოპოსი ბარონი ფონ-დერროპი, რომელმაც მაშინვე ისურვა კავკასიის სამრევლოების დათვალიერება და თან წაიყვანა დონ დამიანე თავის მდივნად. 3 თვის შემდეგ, დასრულდა თუ არა ეპისკოპოსის მოგზაურობა, დაბრუნდა ლუგანსკში, მოკრიფა ფული, აშენა ეკლესია, გაამშვენიერა, მოაწყო სკოლის საქმე.

აგვისტოს 16 1905 წ. ქუთაისელების თხოვნით ეპისკოპოსმა დანიშნა იგი ქუთაისის რ.-კ. ეკლესიის მმართველად, სადაც ღღეს იმყოფება. აქ მაშინვე ყურადღება მიაქცია ბავშვების-აღზრდას—გადააკეთა და გაადიდა სკოლა, შემდეგ ეკლესია, სადგომი სახლი. ეკლესიის ეზო, ყოველ ღღე თავისუფალ დროს თვითონვე მუშაობდა რაც შეხვდებოდა, თვით დღიურ მუშებთანაც და ასე ეკლესია, და ეზო ნამეტნავად, მოიყვანა წესსში და სისუფთავეში.

დონ დამიანე კარგი მცოდნეა ქართული ენისა, ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიისა. იგი ქართულ წერილობას გულისყურიანად ადევნებს თვალ-ყურს, ყოველს სასიკეთო, თუ საზოგადო საქმეებთა არსებობასაც მხურვალედ თანაუგრძნობს, მრევლშიაც დაუზარელი და ხელ გაშლილი მოღვაწე-მოძღვარი გახლავსთ.

ზ. ჭიჭინაძე.

მევენახეთა ყრილობისთვის

მაისის 14-ს თელავში მოხდა საგანგებო კრება კახელ მევენახეთა საზოგადოების წევრებისა, იმ საშუალებათა გამოსანახავად, რომელნიც იხსნიდნენ საზოგადოებას და მთელს კახეთს წარმოუდგენელი კრიზისისაგან. კრიზისი შეჰქმნა ღვინით ვაჭრობის სრულმა აღკრძალვამ. წინა კრების დადგენილებანი „კახეთის“ გამგეობას სისრულეში არ მოეყვანა და გულგატეხილი-და ურჩევდა საზოგადოებას ფარხმალის დაყრას, მუშა-მოსამსახურეთა დათხოვნას და წარმოების მოსპობას. მაგრამ ვაჭრობიდან წარმოებაზედ გადაყვანილმა საკითხმა სულ სხვა ელფერი მიიღო და თვით მწარმოებელთ შექმნილ მდგომარეობაში უაღრესი საფრთხე დაინახეს. ამიტომ მწვავე კამათის შემდეგ, როცა აშკარად გამოირკვა ის საშინელი მოსალოდნელი მდგომარეობა, რომელიც უქადის ეკონომიურის კრიზისით მთელს კახეთს, მოასწავებს სიმშილსა და გაღატაკებას მთელი მხარისას—ამორჩეულ იქმნა საგანგებო კომისია, და გადაიდო მის განკარგულებაში ხუთასი თუმანი, რომ ეს ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი ყოველმხრივ გამოიკვლიოს. გააშუქოს საზოგადოებისა და მმართველ ორგანოებისათვის, რომ შესაფერისი ზომებით თავიდან აიცილებინა კახეთისათვის არა მარტო ეკონომიური კრიზისი, არამედ მოსალოდნელი კონტრრევოლიუციაც. ხალხის წარმომადგენელებს ნამეტნავად აღელვებდა ის მდგომარეობა, რომ ახალი თავისუფლება მათ ემუქრება ეკონომიური და სამეურნეო მოქმედების შეზღუდვით, რაიც აუტანელად ხდის მათს ცხოვრებას.

თანახმად ზემოხსენებულისა კომისიას დაევალა ზეპირი პროპაგანდით თუ პრესის საშუალებით ფართოდ გააცნოს საზოგადოებას შექმნილი მდგომარეობის უნუგეშობა და ზომები მიიღოს კრიზისის დასაცხრობად—იქნება ეს თავისუფალი ვაჭრობის სახით, სახელმწიფოებრივი კრედიტით თუ სხვა რამ საშუალებით.

როგორც დანამდვილებით ვიცით, თბილისში უკვე რამდენიმე ღღეა რაც ეს კომისია მუშაობს, მოწვეული ჰყავს აქაური მსხვილი მოვაჭრეების წარმომადგენელნიც, რომ საერთო პროექტი შეიმუშაონ მდგომარეობიდან თავის დახწევისა. უახლოესი მიზანი, რომელიც კომისიას დაუსახავს—არის შექმნა ძლიერი ორგანიზაციისა კავშირის სახით, საცა ამიერ-კავკასიის ყველა მევენახე-მეღვინე და ღვინით მოვაჭრე იქნება. ეს კავშირი გამოჰყოფს აღმასრულებელ ორგანოს, რომელიც დაუახლოვდება მმართველ ორგანოებს და უნდა აღიჭურვოს ისეთ გვარ უფლებით, რომ შეეძლოს რეგულიატორის როლი ითამაშოს მეღვინეობა-მევენახეობის მთელ მეურნეობაში და ვაჭრობის წესიერად წარმოებაში. საჭირო თანხის და ძლიერი ორგანიზაციის შესაქმნელად, როგორც გამოირკვა კავშირს საკმარისი საღსარი ექნება, ვინაიდან ნებსითი ბეგარა და სახელმწიფოებრივიც ორმაგს საშუალებას მისცემს კავშირს ფართოდ დააყენოს საქმე.

ჯერხნობით, კომისიას მიუღია მონაწილეობა მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტის სხდომაზედ და ამიერ.კავკასიის მევენახე-მეღვინეთა მომავალ საერთო ყრილობისათვის შესაფერ მოხსენებას ამზადებს. საჭიროა ქართულმა, რუსულმა და სომხურმა პრესამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხს, ვინაიდან ამიერ- კავკასიის მეურნეობაში მევენახეობა-მეღვინეობას დიდი ადგილი ეკუთვნის და 200,000-მდე მარტო მევენახეა შიგ ჩაბმული, ახლა ამას დაუმატეთ მევენახეობის მუშები, დაუმატეთ ღვინით მოვაჭრენი და მათი მუშა-მოსამსახურენი, დაუმატეთ მთელი ღვინის წარმოების, მისი ზიდვის შემოსავალ-გასავალი და თქვენ თვალწინ წარმოსდგება ნახევარ-მილიონამდე ხალხი, თავისი 100,000,000 მდე ბიუჯეტით, თქვენ თვალ-წინ წარმოსდგება მეურნეობის უდიდესი და უმაღლესი კულტურის დაქსაქვა და დაღუპვა და შედეგების წარმოდგენაც ადვილი იქნება. მაგრამ ადვილი აღარ იქნება სამწუხარო შედეგების გასწორება ღ მთელმა საზოგადოებამ უნდა მიაქციოს ყურადღება მოსალოდნელ უსიამოვნებათ, რომ მას უკან თითზე კბენანი გვიან აღარ იყოს.

მევენახე.

გამძლე ნერვები

ომის დაწყებისას ქვეყნიერებას ემცნო ჰინდენბურგის თამამი აზრი: ამ ომში ის გაიმარჯვებს, ვისაც უფრო გამძლე ნერვები აქვსო. რუსები და მისი მოკავშირენი ღიმილით შეჰხვდნენ ამ ფორმულას, კუნთებზე იყურებოდნენ როგორი ძარღვები გვაქვსო. ამ მხრივ, მართლაც, გამარჯვების იმედი აქეთა მხარეზე მეტი იყო. რუსის პრიმიტიული ენერგია, მისი საოცარი სიმრავლე, ინგლისელების ცივი ანგარიში, საფრანგეთის აღფრთოვანებული პატრიოტიზმი, მილიარდების უანგარიშოდ ურთიერთ შორის გადასვლა საკმაო საბუთი იყო იმისა, რომ ნერვების სიმაგრეში მოკავშირეებს ვერავინ აჯობებდა. ამ სიმაგრის შერყევა ვერც მაშინ დავინახეთ, როდესაც გერმანეთმა გადმოლახა კარპატები, ძირს დასცა ვარშავა, ნოვოგიორგიევსკისა და კოვნოს სახელოვანი ციხეები, ხელის მოსმით გაანადგურა სერბეთი, მთაშავეთი, რუმინეთი, რამდენიმე ათასი კვადრატიული კილომეტრი წაართვა საფრანგეთს სულ საუკეთესო სახნავ-სათესი და ქვანახშირმადნეულობის ადგილები, წყალქვეშათა წყალობით მიმოჰქსელა მთელი ოკეანე და ხმელთაშუა ზღვა, არა, ყველა ეს დროებითი მარცხი იყო. გამარჯვება კი, ჰინდენბურგის წინასწარმეტყველების თანახმად, გაძლებაში იყო. ამ მხრივ მოკავშირეთ ფარხმალი არ დაეყარათ, დიდი იმედები ჰქონდათ ნერვების სიმტკიცისა, ვინაიდან სიმტკიცე იგი უმთავრესად ფინანსებითა, ხალხით [illegible] მარეობით უფრო განისაზღვრებოდა, ვიდრე განსაცვიფრებელი ტექნიკითა. ტექნიკის სულიერი საზრდო, რაც უნდა იყოს, საბოლოოდ ცოცხალი ძალა და პურია, ამ მხრივ უპირატესობა, დიახაც, მოკავშირეთა მხარეზე იყო.

ღღეს უკვე სამი წელი იწურება და შეგვძლიან დიაგნოზიც დავსვათ, ვის როგორი ნერვები შერჩა ამდენი თოფხანის ღრიანცელისა და დაჭრილთა და დახოცილთა გმინვა-კვნესის შემდეგ. დავიწყოთ ინგლისით. როგორც ვიცით, ინგლისი მოკავშირეთა სულიერი ღმერთია, არა მარტო იმიტომ, რომ თავით ფეხამდე იგი უკეთესად აღჭურვილი აქილესია, არამედ იმიტომ, რომ ოქროთი სავსე ჯიბეცა აქვს, რაიც ყველასათვის თანაბრადა აქვს მოხსნილი. მერე რა მდგომარეობაშია ამ აქილესის ნერვები? სამწუხაროდ, ცუდში, მეტად ცუდში, ვიდრე შორიდან მაყურებელს ეგონება. ინგლისურ გაზეთებიდან გადმობეჭდილი საანეკდოტო ამბები იკმარებს მაგალითისთვის: ვინმე დალაქი ასეთს განცხადებას აკრავს შესავალ კარებზე: „ვინც აქ წვერს მოიპარსავს, საჩუქრად შაქრის კვნიტს მიიღებს“. ან და ასეთი ამბავი: „მშვენიერო ლედი, თუ ჩვენსას ინებებთ სადარბაზოდ მობრძანებას, არ დაივიწყოთ შაქარი და პური ვერცხლის საკვოიაჟეთით მოიტანოთ“. მაგრამ ამ საანეკდოტო ამბებს იქით გვაქვს ლლოიდ ჯორჯის ავტორიტეტული მოწმობაც. იგი ეხება წყალქვეშათა ბრძოლის შედეგებს: „...გერმანეთის წყალქვეშათა ალყამ საგრძნობლად დაგვაზარალა. მდგომარეობა სერიოზულია. საქმეს გავუძღებოდით, მაგრამ მარტო ინგლისი არა გვაქვს სარჩენად. ჩვენი აუარებული სავაჭრო ხომალდები და გემები ჩვენს მოკავშირეებისთვისაც გჭირია. მათ ვერ გამოვწირავთ. შინაურს ცხოვრების მოწესრიგებას და გასაჭირის გარდატანას ვანდობ თქვენს სინიდისს და პატრიოტულს აღმაფრენას“.. და ინგლისიც „პატრიოტულის აღფრთოვანებით“ იტანს გასაჭირს, ეკონომიურს კრიზისებსა.

მეტად მიგვაჩნია საფრანგეთის ნერვებზე ლაპარაკი. ლლოიდ ჯორჯის სიტყვიდანაც სჩანს, რომ ესეც ინგლისის კისერზეა ჩამოკიდებული, ინგლისის ხომალდები ეზიდებიან სუფრსათ-სანოვაგეს სწორედ მაშინ, როდესაც ლონდონის მშვენიერნი ბანოვანნი და ჯენტლმენები დალაქთა ოხუნჯობის საგნად გამხდარან. საინტერესოა ვიცოდეთ, რა ყოფაშია რუსეთის ნერვები. მოკავშირეები ყოველთვის რუსეთზე ამყარებდენ თავიანთს იმედებს. „რუსეთი დათვია, სცემ, გადააგორებ, გადმოაგორებ, მაგრამ ნუ იფიქრებთ მოქანცოთ და დაიმორჩილოთ, ამ გორაობაში თვითონვე დაგლილს და ბოლოს ქვეშაც ამოგიდებს“. ასეთი წერილებით ამშვიდებდა „სატენი“ ფრანგ მკითხველებს, როდესაც გერმანელთა ბავარიის კორპუსებმა პერემიშლი გადმოანგრიეს და ხაოტ რუსის ჯარს ფეხ და ფეხ ერეკებოდენ კარპატებიდან. მართლაც, „დათვის“ ნერვები იმ დროს შეურყეველი იყო და ბევრს იმედებსაც ვამყარებდით მის ახალს დარაბმულობაზე. ბრუსილოვის შარშანდელმა გალაშქრებამ ხომ საზოგადო ენტუზიაზმი გამოიწვია. ფრანგებმა ეს ლაშქრობა პირდაპირ ვერდენის მხსნელისო ნავინის საყვირად დაჰსახეს. მაგრამ გავიდა დრო, რუსეთში რევოლიუციამ იფეთქა კიდეც, ახალ-ახალი იმედები გადაგვშალა, მაგრამ საზოგადო კეთილდღეობის ნაცვლად მეტად საეჭვო შედეგებს მივაღწიეთ. ბრძოლის ასპარეზზე დიდი ხანია ფაქტიურად ზავი ჩამოვარდა. გერმანელები იმედენი სითამამდეც კი მივიდნენ, რომ ვილჰელმის ბრძანება პეტროგრადის ალყებად უკუ აგდეს და დასავლეთ ასპარეზზე გადასტყორცნეს ჯარები. რატომ? „რუსეთი აღარ არსებობს, დაიშალა, აღარავითარს საშიშროებას არ წარმოადგენს ჩვენთვის, იგი ჩვეული პროვინციაა, როცა მოვისურვებთ, მაშინ გავისეირნებთ კიდეც“. რის იმედით? „რუსეთში შავი ანარქიაა და ვერც თუ რამე შეაჩერებს“. ასე ამბობს მთავრობის ლიბერალური გაზეთი „ფრანკფ. ცაიტუნგი“. „რუსეთის დაშლას ვეღარა შეაჩერებს რა, მათი კერენსკები და ჩერნოვები უძლურნი არიან ანარქიის აგორებული ცეცხლის თვლები შეაჩერონ“... „რუსეთი ისეთს ზავის პირობებზე მოგვიწერს ხელს, როგორსაც მოვისურვებთ“. ამ ჰანგით მოიმღერს თითქმის ყველა გაზეთი. გერმანელთა ასეთს სითამამეს და თავხედობას მაშინ უფრო გავიგებთ, თუ ყურს დავუგდებთ რუსეთის გოდებას. დიდხანს არ გასტანა რევოლიუციის აღტაცებულმა ჰიმნმა. ღღეს მთელს რუსეთში საშინელ სასოწარკვეთილე-

ბის კიევლი გაისმის. სტირიან და გოდებენ არა მარტო მეპრესენი, არამედ ისინიც კი, ვინც ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმე ხელთ იგდეს. „სამშობლო განსაცდელშია“, არა ერთხელ გამოაცხადეს გუჩკოვებმა, მაგრამ რუსეთს ერთხმად არ შეუკვეცია თმები კარს მომდგარ ჰანნიბალის შესახვედრად. საქმე ისაა, განსაცდელი ჰანიბალის სახით არა მტრის მიერ მოქნეულ ხიშტში ისახება, არამედ უფრო შინაურ ცხოვრების აწეწვ-დაწეწვაში, სრულს დეზორგანიზაციაში, რომელსაც თვით კოალიციური სამინისტროც ვეღარას შველის. ფინანსთა მინისტრმა მოსკოვში გულახდილად განაცხადა საზარელი „non possemus“! რუსეთის ფინანსიური მდგომარეობა სავალალოა. მისი სიტყვით, რუსეთის ვალი უკვე 40 მილიარდს აღემატება, ომის დასრულებამდე ეს ვალიო, სთქვა მან, 60 მილიარდს აღემატებაო. საკითხია, რით და როგორ გაუძღვება ამ ვალებს ის ქვეყანა, რომლის ვაჭრობა-მრეწველობა პრიმიტიულია ან და უცხოელთაგან დამოკიდებულია, ეკონომიურად დაეცა, თითქმის სულს ჰღაფავს. მართალია, მინისტრ სკობელევს შერჩა სითამამე ეთქვა, ყოველმა მწარმოებელმა ხელი აიღოს შემოსავალზე და პირდაპირ სახელმწიფოსთვის გაიღოსო, მაგრამ ამით შვება ქვეყანას მაინც არ მიეცემა, არ მიეცემა იმიტომ, რომ თვით შემოსავლის წყაროც ყოველგან დაშრიტა, ათასობით იკეტება ფაბრიკა ქარხანა, რადგან მუშათა ხელფასმა შემოსავალზე გაცილებით მეტად აიწია. მარტო პეტროგრადში მუშებს ამ წელს 500 მილიონი მანეთით მეტი მისცეს, ვიდრე გასულს წელს. ცხოვრება შეჩერდა, ინერტიული გახდა. ფრონტზე 460 ვაგონის ნაცვლად დღეს 80 ვაგონი ძლივს იგზავნება. ვაჭრობის მინისტრ კონოვალოვის უკანასკნელი სიტყვა ხომ პირდაპირ გედის სიმღერაა, რომელიც კონტრ-რევოლიუციის ცეცხლის ენას მოისავსავებს: „რუსეთი დღეს უფრო უკიდურეს მდგომარეობაში იმყოფება, ვიდრე ძველს რეჟიმის დროს!“ ასეთი ლექსით მოიმღერს იგი. დეზორგანიზაცია ყოველგან, არსად წესრიგი, დაურთეთ ახლა 8 საათის სამუშაო დღის შემოღებაც და თქვენ მიიღებთ ფინანსებისა და მრეწველობის იმ სასაფლაოს, რომლისგანაც ელდორადოს აღმოჩენას მოელიან შერყეულ ნერვების მოსამაგრებლად...

ჩვენ არ ვიცით, რა ნერვები შერჩა გერმანეთს. უეჭველია, იქაც შერყეულნი უნდა იყვნენ, მაგრამ ერთი რამაა საოცარი: მათს შესახებ დიდი ხანია მენშიკოვებმა შეაჩერეს საჯაროს ნო წერილები „Должны побѣдить!“ მიხაილოვსკებსაც სამხედრო ბიმოხილვის დროს ბერლინისკენ აღარ მივყეკართ, ტრუბეცკოები და ტუგან-ბარანოვსკები სდუმან გერმანეთის დამშევაზე, ხოლო თვით გერმანეთში არ გამოჩნდა არც ერთი ენაჭარტალა ოხუნჯი დალაქი, რომ თვის სადალაქოს წინ წაეწერნოს: „ვინც აქ წვერს მოიპარსავს, სასყიდლად შაქრის კვნიტს მიიღებს...“ გერმანელთა ნერვების სიმაგრე ისეთივე საიდუმლოებითაა მოცული, როგორც მათი სამხედრო სამზადისი ომის დაწყებამდე.

დ. კასრაძე.

ხმა საზღვარ-გარეთელ ქართველისა

(სტოკჰოლმიდან)

რუსეთის რევოლუცია ერთი უდიდესი გავლენათაგანია. კაცობრიობის ახალ ისტორიაში და რამდენადაც დიდია თვით რუსეთის სახელმწიფო, რამდენადაც მრავალფეროვანია მოსახლეობა მისი და რამდენადაც საჭიროა ძირიანად შეცვლა მისი პოლიტიკურისა და სოციალურის ცხოვრებისა, იმდენად უფრო რთულნი არიან ამ რევოლუციისაგან წამოყენებულნი პრობლემანი.

რუსეთის მოსახლეობის 57% არა რუსია და ამ რევოლუციაში არა მარტო რუსის ხალხს მიუღია მონაწილეობა, ალბათ ყველა ერების საერთო მოქმედების შედეგია იგი, და მაშასადამე ამ შედეგებით ყველა ერმა თანასწორად უნდა ისარგებლონ. აქ არ შეიძლება ლაპარაკი რომელიმე ერის უპირატესობაზე-ეს უპირატესობა ძალით იყო განმტკიცებული ძველი რეჟიმის მიერ, საეკუნეთა გახმაგლობაში, დაპყრობითა და ძალადობითა.

თვით ის ჯარები, რომელთაც სამის წლის განმავლობაში ესაშინელესი ბრძოლა გასწიეს ამ ომში, რომელთაც ითამაშეს უმთავრესი როლი ძველის რეჟიმის დამხობაში და დღესაც ბურჯნი არიან ახალად მოპოვებულის თავისუფლებისა—ნახევრად არა რუსებისაგან შესდგება.

თვით ის პროლეტარიატი,—ჯეხობა, რომელთა რევოლუციონური სულისაგან, — შემოქმედობისაგან არის დამოკიდებული მთელი შედეგი რევოლუციისა—და სხვა რევოლუციონური კლასები რუსეთისა—აგრეთვე ნახევრად არა რუსის ჩამომავლობისა არიან. თვით პარტიანი, რომელნიც დღეს თავში უდგანან რევოლუციას—მარტო რუსი ეროვნებანი არ არიან, და სოციალიზმისა თვით ლიდერთა შორის არა რუსნიც თამაშობენ დიდს როლსა. მაშასადამე ეს დიდი რევოლუცია არის საყოველთაო რევოლუცია რუსეთის ერთა, და ჩვენც, არა რუსთ, უფლება გვაქვს ამ ფაქტს მივაქციოთ ყურადღება და გამოვიყვანოთ შესაფერი დასკვნანი შესახებ ჩვენს უფლებათა.

რუსეთში ისეთი ერები არსებობენ, რომელთაც შეუძლიანთ პოლიტიკური ცხოვრება, რადგანაც მათ სახელმწიფოს შედგენისათვის საჭირო ელემენტები მოეპოვებათ—ტერრიტორია და ეროვნული უმეტესობა ამ ტერრიტორიაზედ, აგრეთვე მაღალი კულტურა და მდიდარი ისტორია. ფინლიანდია, საქართველო და სხ. ასეთ ერს წარმოადგენენ. ძველმა რეჟიმმა ძალით, უსამართლობით, ხელშეკრულებათა დარღვევით მოსპო მათი პოლიტიკური ცხოვრება, და მაშასადამე ახალი რეჟიმი, დამშლელი და უარმყოფელი ძველისა, სწორედ ამ ერთა დახმარებით, ვერ განამტკიცებს ძველს უსამართლობასა და ამ ერებს ვერ წაარმევს უფლებას თავისუფალ პოლიტიკურ ცხოვრების უფლებას. არ არის საკმარისი განცხადება ინდივიდის თავისუფლებათა მთელს რუსეთის სახელმწიფოში, არამედ საჭიროა აგრეთვე განცხადება ერთა თავისუფლებისა და თანასწორობისა. იმ ეროვნების პრინციპის ძალით რომელიც, განსაკუთრებით ამ ომში აღსარებულ იქმნა მთელი კაცობრიობის მიერ, ჩვენ მოვითხოვთ უფლებას საკუთარ დამფუძნებელ კრებათა მოწვევისას ჩვენს განსაღვრულ ეროვნულ-ისტორიულ ტერიტორიაზედ მცხოვრებ ერთა წარმომადგენელთა, რომელთაც უნდა შეიმუშავონ ეროვნული კონსტიტუციანი, შესაფერნი ერის სოციალურ სტრუქტერისა, მისი ორგანალური კულტურისა, მისის საერთო სულისა. რუსეთის საერთო დამფუძნებელ კრებაში მონაწილეობის მიღება ყველა ერთა არ არის სამართლიანი არამედ მავნებელიც, რადგანაც თვითოეული ერის ბედ-იღბალი მისგან დაშორებულმა და მისმა არა მცოდნე ერთა უმეტესობამ უნდა გადასწყვიტოს და რადგანაც აგრეთვე თვით რუსის ერის ბედ-იღბლის გადაწყვეტაში უნდა მიიღონ მონაწილეობა არა რუსის ელემენტებმა, რომელნიც უმეტესობასაც კი წარმოადგენენ მთელის სახელმჯიფოს ტერიტორიაზედო. ამასთანავე დაე თვითოეული ერის დამფუძნებელმა კრებამ განსაზღვროს გარეგანი განწყობილება ერისა რუსის ერთან. ეს არის ის, რასაც მოითხოვს პრინციპი ეროვნებისა და აგრეთვე პრინციპი თვითგამორკვევისა, რომელიც ყოველ რუსის რევოლუციონურ პარტიას ეწერა აქამდის პროგრამაში და რომელიც დღესაც უარარ-უყვია რევოლუციას.

ეს არის ჩვენი მოთხოვნილება, რომელიც ეთანხმება სამართლიანობასა და ეროვნების პრინციპის სულსა. სხვა ერებმა დაე თვითონ გამოსთქვან თავიანთი სურვილი, ჩვენ მხოლოდ ერთს რამეს დავუმატებთ. რაც შეეხება იმ ერებს, რომელსაც არ მოეპოვებათ ტერრიტორია და მასზედ მჭიდროდ დასახლებული ეროვნული მოსახლეობა, მათი ეროვნული უფლებანი სავსებით უნდა იქმნან აღიარებულნი იმ ერის ტერრიტორიაზედ, რომლის საზღვრებშიაც ისინი ეროვნულ ტერრიტორიათა განსაზღვრის დროს მოჰყვებიან.

ეროვნულ უფლებათა სრული თანასწორობა უფლებაა თვითოეულ სახელმწიფოებრივ ერისა მოიწვიოს დამფუძნებელი კრება, შეიმუშაოს შინაგანი კონსტიტუცია და განსაზღვროს გარეგანი კავშირი რუსის ერთან, საყოველთაო აღიარება უტერიტორიო ერთა ეროვნულ უფლებათა, საზოგადოდ აღსარება ყველა ერთა მიერ ურთიერთის სრულ ეროვნულ უფლებათა—ის გადასწყვეტს დღეს რუსეთის რევოლუციის მიერ წამოყენებულ პოლიტიკურ და სოციალურ პრობლემათ და აგრეთვე ეს იქნება სამართლიანი განაწილება იმ დიდი რევოლუციის შედეგთა, რომელიც ყველა ერებმა საერთო ძალით მოახდინეს რუსეთში.

X.

კორესპონდენცია

საინგილოს ვითარება

ს. კაკი. ხალხი თავისუფლების პირველ ხანებში ვერ მიხვდა თავისუფლების მნიშვნელობას და სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა ამისთვის, ეხლა კი ხალხი თან და თან შეგნებაში შევიდა. პირველად ხალხმა სასოფლო კომიტეტის არჩევანში გამოიჩინა თავისი უნარი. სოფლის ძველი რეჟიმის ხალხთ უნდოდათ კომიტეტში ისეთი ხალხი არჩეულიყო, რომელიც ძველებურად განაგებდა სასოფლო საქმეს და თავისებურს ყაიდაზედ ჰმართავდა ყოველივეს. მაგრამ დამარცხდნენ იგინი. კომიტეტში ოთხი კაცი შეგნებულ-მომსახურეთაგანი აირჩიეს და ოთხიც ადგილობრივი სოფლელნი.

კომიტეტი არჩევისათანავე მხნედ შეუდგა მუშაობას და უპირველეს ყოვლისა ყურადღება მიაქცია სწავლა-აღზრდის საქმეს. კომიტეტმა გადასწყვიტა ს. კაკის ნორმალური სასწავლებელი, რომელიც კერძოთ ხალხის გასაჩუსებლად იყო დაარსებული და სადაც ადგილობრივ ენას სრულიად არ ასწავლიდენ, მომავალ სამოსწავლო წლიდან სრულიად დაიხუროს, ხოლო მის მაგიერ დაარსებულ იქმნეს სამეურნეო სასწავლებელი, როგორც ხალხის ცხოვრების მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი. გარდა ამისა დაარსებულ იქმნეს ორი პირველ დაწყებითი სასწავლებელი და ის ფულები, რომელიც ნორმალურს სასწავლებელს ხმარდებოდა, მოხმარდეს ახალს სასწავლებლებს.

გარდა ამისა, ამას წინეთ სოფლის ყრილობამ კომიტეტის რჩევითა და მოთხოვნით შემდეგი საყურადღებო განაჩენი გამოიტანა. საინგილოში დღესაც კიდევ ჩვეულებად არის დარჩენილი ქალის გაყიდვა, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ. ქალის მთხოვნელი ახალგაზდა მოვალეა დანიშნულს უყიდის ყოველივე მზითევი და გარდა ამისა ქალის მშობლებს მისცეს სასყიდლათ ფული, რომლის რაოდენობაც ქალის სილამაზე-ეშხიანობით განიზომება და 100—500 მან. და ზოგჯერ მეტამდი-სინაც აღწევს. აი ამ ნიადაგზედაც ბევრი უსიამოვნობა და უსამართლობა ხდება და ეს საშინელი ჩვეულება ხალხს აწუხებს, აფერხებს, ღარიბ და შეუძლებელ გლეხკაცისათვის ორივესათვის ერთნაირად ხელ შემკვრელია. ამ თვის 17-ში ყრილობამ დაადგინა: სრულიად მოისპოს ეს სასყიდელი და თუ ვინმემ კიდევ გაჰბედა და გაჰყიდა ქალიშვილი, მას ჯარიმად 500 მანეთი გადახდეს.

აი, როდესაც ხალხი თავის ცხოვრების ასე მოწყობას სცდილობს და უკეთესს მომავალზე ოცნებობს, სწორედ ეხლა მოხდა ერთი არა სასიამოვნო ამბავი, რომელმაც ყველანი დიდათ შეაძრწუნა. სოფელ ყორაღანში, სადაც ინგილო მუსულმანები და ქრისტიანები სცხოვრობენ, მივიდნენ ღამით რამდენიმე სხვა სოფლიდან წინდა წინვე განზრახვით, მუსულმანი ლეკები და ხალხს დაუწყეს გამაჰმადიანება ძალით. თურმე ძალად უცვივდებოდენ ან თავისთან იხმობდნენ ნიშანში ამოღებულ პირს და ძალაზედ თოფის კონდახებით და ცემა-ტყეპით ამაჰმადიანებდნენ. ამ თავის საქციელს ღამ-ღამობით ჩადიოდნენ. მთავარ როლს ხალხის გამუსულმანებაში ასრულებდა ზაქათალის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე ყაფიზ ეფენდი. ექვსი კაცი გაუმუსულმანებიათ სოფ. ყორაღანში, ორი თასმალოში. ამ უკანასკნელში თურმე მარკოზ პიროსმანაშვილს წაართვეს ცოლი, გაამუსულმანეს და თათარს მიათხოვეს. ამ ამბავმა ყველა ერთგვარად ააშფოთა ქართველიც და ლეკიც, ქრისტიანეც და მუსულმანიც. კაკის აღმასრულებელმა კომიტეტმა მაშინვე მიიღო ზომები, ტელეგრაფით შეატყობინა დეპუტატ ჩხენკელს, საქაროველოს კათალიკოზს, ჯარს კაცთა საბჭოს და სხვა და სხვათა. გარდა ამის ფიცხელი გამოძიება მოახდინა, რომელმაც გამოარკვია, რომ ს. ყორაღნის მღვდელს ჯეროვანი პასუხი ვერ გაუცია მის მრევლის გამაჰმადიანებაზე და თითონ მიმალულა, იმ დროს როცა მედავითნე მედგრად იცავდა სინიდისის თავისუფლებას და ყველას არიგებდა. ამიტომ კომიტეტმა დაადგინა გადაყენებულ იქმნეს უღირსი მღვდელი მარკოზ ყილნშელი და ეთხოვოს კათალიკოზს სასტიკად დასაჯოს იგი.

ზ. ედილი.

—

კოლოპერაცია სოფლად

ს. ვეჯინი. კვირას, მაისის 21 მოხდა ვეჯინის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა კრება. კრების თავმჯდომარედ სოსო ჩიტოშვილი იყო. მდივნად მღვ. დიმიტრი ბერიაშვილი.

კრებამ მოისმინა ანგარიში წარსულ სამი თვის შემოსავალ გასავლისა. აღმოჩნდა, რომ ამხანაგობას დარჩენია ხალასი მოგება 1059 მან. და 68 კაპ., რაც კრების მიერ მოწონებულ და დამტკიცებულ იქმნა.

კრებამ მოისმინა თავის ამხანაგთაგან ახლად შემუშავებული წესდება, მოიწონა იგი და დაავალა გამგეობას მის მალე დამტკიცებას რაც კი შეიძლება ხელი შეუწყოს.

კრებამ მიიღო რა მხედველობაში, რომ რამდენიმე პირს უმსახურნია სრულიად უსასყიდლოდ, დაადგინა, მადლობა გამოეცხადოთ მათ.

მოხდა არჩევნები, გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნენ ერთხმად, სოსო ჩიტოშვილი (თავმჯდომარედ), მღ. იოსებ მაჭავარიანი და გაბო ტარუღოვი. საბჭოს წევრებად: კოტე დავითისძე ვაჩნაძე, მღ. დიმიტ. ბერიაშვილი და შაქრო აბაშიძე. რადგანაც სოსო ჩიტოშვილმა კრებას განუცხადა, სრულიად უსასყიდლოდ ვიმუშავებ და ბინასაც ისევ უფასოდ ვუთმობო, კრებამ მას მხურვალე მადლობა უთხრა და გამგეობის ორ წევრს დაუნიშნა ჯამაგირი, საწყობის გამგედ დაინიშნა ივანე მინასოვი.

კოოპერატორთა და კახეთის კავშირის რწმუნებულთა კრებაზედ დასასწრებლად, რწმუნებულად არჩეულ იქმნენ სოსო ჩიტოშვილი, კოტე ვაჩნაძე და მღვ. ი. მაჭავარიანი.

დ.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ საფ. № 3, 11.03 დილ.
„ სამგზ. № 9, 11.43 საღ.
ბორჯომისკენ სამგზ. № 19, 3.20 დღ.
„ „ № 17, 8.27 დილ.
გორისაკენ სამგზ. № 61, 9.10 დილ.
ბაქოსაკენ ჩქარ. № 6, 9.20 დილ.
„ სამგზ. № 8, 3.54 დღ.
„ საფ. № 4, 9.28 საღ.
ყარსისაკენ სამგზ. № 4-3, 11.13 საღ.

თფილისში მოდის:

ბათუმიდან სამგზ. № 10, 7.51 დილ.
„ საფ. № 4, 8.38 საღ.
ბაშ.-ბორჯ. სამგზ. № 20, 7.43 დილ.
„ სამგზ. № 18, 10.12 საღ.
გორიდან სამგზ. № 62, 6.34 საღ.
ბაქოდან საფ. № 3, 10.08 დილ.
„ სამგზ. № 7, 4.12 საღ.
„ ჩქარ. № 5, 10.40 საღ.
ყარს-ჯულფ. საფ. № 3***, 8.10 დილ.

კახეთის რკინის გზა

საფოსტო მატარებლების მიმოსვლა

I, II, III კლასის ვაგონებით.

(დრო ადგილობრივია)

თბილისიდან ყოველ დღე მიდის დილის 8 საათ.

გურჯაანის სადგურზე მოდის ნაშუადღევის 2 საათზე და 20 წ.

გურჯაანის სადგურიდან მიდის თელავისაკენ ნაშუად. 2 საათ. და 40 წ.

თელავში მოდის საღამოს 4 საათზე.

გურჯაანიდან მიდის წნორის-წყლის სადგურისკენ 3 საათ.

წნორის-წყლის სადგურზე მოდის საღამოს 4 საათ. და 10 წ.

თელავის სადგურიდან მოდის ყოველ დღე დილის 10 საათზე 15 წუთზე.

გურჯაანის სადგურზე მოდის დილის 11 საათ. და 35 წუთ.

წნორის-წყლის სადგურიდან მოდის გურჯაანისაკენ დილის 10 საათზე და 32 წუთზე.

გურჯაანის სადგურზე მოდის დილის 11 საათზე და 30 წ.

გურჯაანის სადგურიდან მოდის თბილისისაკენ ნაშუადღევის 12 საათზე.

თბილისის სადგურზე მოდის საღამოს 5 საათზე და 26 წ.

ექიმი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა.

მიხეილის პრო. № 36, მეორე სართული.

გუხჰალტერი ქალი

ეძებს ადგილს.

საბუხჰალტერო კურსები ახლად აქვს გათავებული. გათავებული აქვს აგრეთვე საწერ მანქანაზე მუშაობის კურსი. აქვს მოწმობები. კიროჩ. ქუჩა № 9. იკითხეთ საპარიკმახეროში.

ექიმი

ივანე თიკანაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18. ტელეფონი № 11—82.

ექიმი კბილისა

ე. ივ. გალარჯაოვილი-მათეოვილისა

იღებს ავადმყოფებს:

დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ. **ნერკეზიშვილის** და **რეუტოვის** ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი

ბ. მ. მუხაძე

იღებს ხალხსტაქრო ავადმყოფთ

საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა **მისამართი:** დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიციერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ფარმაცევტი

ბორის ანთიმოზის ძე

კალანდარიშვილი

ეკმუროსი ექიმი ოს. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებანი ავადმყოფებს მიიღებს ოლდას ქ. № 8.

ექიმი

მ. ი. ჭაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს შუადღ. დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (ო.—202—)

ექიმი

მ. ფ. მგალობლიშვილი

ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. **მისამართი:** ოლდას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

ექიმი

ე. ლ. ფალამგერიძე

იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ **საღამოს** 5—7 საათამდე. **მისამართი:** პეტროგრადის ქუჩა № 7.

სახელმწიფო თეატრი

ოთხშაბათს, მაისის 31, 1917 წელს

კოტე ფოცხვერაშვილის მეთაურობით და მონაწილეობით გაიმართება პირველად თბილისში სამეცნიერო და საგანმანათლებლო მიზნით

დიდი ეთნოგრაფიული საეუსიკო საღამო

შემდეგის პროგრამით:

შესავალი

ცხოველი სანახაობა და სცენა ქართულ ცხოვრებიდგან

1) სიტყვა მუსიკაზე (განსაკუთრებით გურულ-აჭარულზე).
2) ქართლ-კახური გუნდი მ. კავსაძის ლოტბარობით.
3) გურულ-აჭარული გუნდი ვ. სიმონიშვილის ლოტბარობით.

მესამე განყოფილება

1) თარი და ფანდური, ქართლ-კახური გუნდის დამღერებით.
2) სტვირი და ჩანგური გურულ-აჭარული გუნდის დამღერებით.
3) ქართული ხალხური სასიმღერო სიმფონიები.

მეოთხე განყოფილება

1) ქართული ცალფა ცეკვა.
2) თამაში: წყვილი, სამაია, ჯგუფური, ფერხული.
3) გურულ-აჭარული ცეკვა **ხორუმი.**

მონაწილეობას მიიღებენ: კ. ფოცხვერაშვილი, მეთარე, მეფანდურე, მესტვირე, მიჩანგური, ქართლ-კახური გუნდი, საგანგებოდ გურიიდგან მოწვეული გურულ-აჭარული გუნდი, მოცეკვავენი, მოფერხულენი, და ქართველი მაჰმადიანები, რომელთა მიერ შესრულებული იქნება დაბლით და ჭიმონით იშვიათი სანახაობა—ძველი ქართული, ჯგუფური ცეკვა—**ხორუმი.**

ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

3—663—1 **აფიშები არ გამოვა.**

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მეტროფანე**

ლაღიძის

და ამს-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის **ნამდვილი სამკურნალო** წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლაღიძის წყლის** ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ევროპიის ბრილიანტი
ლაღიძე
ქარხანები
ეკატერინეს ბულვარი № 11
ეკატერინეს ბულვარი № 11
ეკატერინეს ბულვარი № 11